

საქართველოს სახელით

საკონსტიტუციო სასამართლოს

მეორე კოლეგიის

გადაწყვეტილება №2/13/1234,1235

2018 წლის 14 დეკემბერი

ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

თეიმურაზ ტულუში – სხდომის თავმჯდომარე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

მანანა კობახიძე – წევრი.

სხდომის მდივანი: მანანა ლომთათიძე.

საქმის დასახელება: საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: 1) №1234 კონსტიტუციურ სარჩელზე - ა) საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით;

ბ) საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების: „მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, ... გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს“, მე-2 ნაწილის პირველი წინადადების და მე-2 წინადადების იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამოძახებული მოწმისათვის გამოუცხადებლობის გამო ფულადი სახდელის დაკისრების შესაძლებლობას და 309-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით.

2) №1235 კონსტიტუციურ სარჩელზე – საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელე მხარის წარმომადგენლები – გიორგი ჩიტაძე და მარინე კაპანაძე; მოპასუხე მხარის – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი თინათინ ერქვანია, მოწმე – დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი თამარ მესხია.

I

აღწერილობით ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისს კონსტიტუციური სარჩელებით მომართეს საქართველოს მოქალაქეებმა როინ მიქელაძემ (რეგისტრაციის №1234) და გიორგი ბურჯანაძემ (რეგისტრაციის №1235). №1234 და №1235 კონსტიტუციური სარჩელები არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადმოეცა 2017 წლის 23 ივნისს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა №1234 და №1235 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის



გადასაწყვეტად, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2017 წლის 15 ნოემბერს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის №2/18/1234,1235 საოქმო ჩანაწერით კონსტიტუციური სარჩელები მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. №1234 და №1235 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განხილვის სხდომა გაიმართა 2018 წლის 2 და 3 მაისს.

2. №1234 და №1235 კონსტიტუციურ სარჩელებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი და 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-16 მუხლები.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 126¹, 178-ე, 179-ე, 276-ე, 323-ე-323², 325-ე-329-ე და 378² მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით.

4. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს მოწმის ვალდებულებას, გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში გამომძიებლის/პროკურორის გამოძახებით, სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებით დადგენილია საგამოძიებო ორგანოში მოწმის იძულებითი მიყვანის შესაძლებლობა, მე-2 წინადადების ნორმატიული შინაარსი კი ითვალისწინებს პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამოძახებული მოწმისათვის გამოუცხადებლობის გამო ფულადი სახდელის დაკისრების შესაძლებლობას. ამავე კოდექსის 309-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, დაზარალებულის დაკითხვა ტარდება მოწმის დაკითხვისათვის დადგენილი წესით.

5. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულია კანონის წინაშე ყველას თანასწორობის კონსტიტუციური უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებულია ყოველი ადამიანის უფლება, რომ თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კი, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

6. №1234 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე როინ მიქელაძეს ბრალად ედება 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული ერთ-ერთი დანაშაულის, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. №1234 და №1235 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ შეიცვალა 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილი, კერძოდ, დაკითხვის ძველი წესის მოქმედება გავრცელდა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 323-323² და 325-329 მუხლებით (ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულები) გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიებაზე 2019 წლის 1 იანვრამდე და მისი მოქმედება აღარ ვრცელდება, მათ შორის იმ დანაშაულზე, რომელის ჩადენაშიც ბრალი ედება მოსარჩელე როინ მიქელაძეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საქმის არსებითად განსახილველად მიღების დროისათვის არსებული შინაარსით უნდა შეაფასოს სადავო ნორმები და იმსჯელოს ძალადაკარგული ნორმის არაკონსტიტუციურობაზე. მოსარჩელეთა არგუმენტაციით, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს სადავო ნორმას, მოსარჩელე როინ მიქელაძეს ექნება შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოითხოვოს მისი საქმის გადასინჯვა სააპელაციო სასამართლოში. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ საქმეში აქვს შესაძლებლობა, განმარტოს სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპები და ჩამოაყალიბოს კონკრეტული კონსტიტუციური სტანდარტები. შედეგად კი, საკანონმდებლო ორგანო ვალდებული იქნება, სწორედ ამ სტანდარტების შესაბამისად დაადგინოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი რეგულირებები. მოსარჩელე მხარე დამატებით მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს სადავო ნორმებს, თუმცა კანონმდებელი კვლავ მიიღებს მსგავსი შინაარსის მქონე რეგულაციებს, მათ შეეძლება, გამარტივებული სამართალწარმოების წესით მოითხოვონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დამძლველი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარის პოზიციით, საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილი უნდა შეაფასოს იმ შინაარსით, რომელიც მას გააჩნდა კონსტიტუციური სარჩელებით მიმართვის დროს.



7. №1234 კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი არგუმენტაციის თანახმად, ყველა ბრალდებული, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი დანაშაულის ჩადენაში ედებათ მათ ბრალი, არიან თანასწორი სუბიექტები, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს თანაბარ საპროცესო გარანტიებს. ამის საპირისპიროდ, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული დანაშაულების გამოძიების დროს, დაკითხვა წარმოებს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო ყველა სხვა დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიებისას, პირის დაკითხვა ხდება 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ბრალდებულთა შორის განსხვავებულ მოპყრობას განაპირობებს ის ფაქტი, თუ რომელი დანაშაულის ჩადენაში ედებათ მათ ბრალი.

8. მოსარჩელის განმარტებით, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწმის დაკითხვის წესი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღნიშნული განსხვავებები საბოლოოდ გავლენას ახდენს ბრალდებულების უფლებებზე და იწვევს მათ დიფერენცირებას. კერძოდ, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იყო მოწმის ვალდებულება, ჩვენების მისაცემად გამოცხადებულიყო არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ - გამოძიების ეტაპზე პროკურორთან. არასაკმატო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში კი შესაძლებელი იყო მოწმის იძულებით მიყვანა, მისთვის ფულადი სახდელის დაკისრება. ამრიგად, სადავო ნორმები საგამოძიებო ორგანოს აძლევს საშუალებას, დაკითხოს მოწმე საგამოძიებო ორგანოში მეორე მხარისა და მოსამართლის დასწრების გარეშე კი.

9. მოსარჩელე მხარე ხაზს უსვამს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღარ შეიცავს მსგავს რეგულაციას და საგამოძიებო ორგანოსთან თანამშრომლობა ნებაყოფლობითია. მოწმის იძულებითი წესით დაკითხვა წარმოადგენს საგამონაკლისო წესს, თუ არსებობს მისი დაკითხვის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. ამასთან, მოწმის დაკითხვაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს არა ბრალდების მხარე, არამედ სასამართლო. მოსარჩელე უთითებს, რომ მოწმის დაკითხვის ძველი, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესი იყო ხარვეზიანი, რამდენადაც უშვებდა შესაძლებლობას, რომ საგამოძიებო ორგანოს მხრიდან მოწმეზე განხორციელებულიყო უკანონო ზემოქმედება. ამისაგან განსხვავებით, მოქმედი კოდექსით გათვალისწინებულია მოსამართლის ჩართულობა მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის პროცესში, რაც შეიცავს ბრალდებულის ინტერესების დაცვის უფრო ქმედით გარანტიას და, შესაბამისად, აუმჯობესებს მის საპროცესო მდგომარეობას.

10. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ მტკიცებულებათა მოპოვება და მათი სასამართლოში წარდგენა წარმოადგენს მხარის საშუალებას, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე, მოწმის ჩვენება კი - განსაკუთრებით წონადი მტკიცებულებაა. შესაბამისად, ის გარემოება, თუ რომელი წესი მოქმედებს მოწმის დაკითხვისას და რა უფლებები აქვს ამ პროცესში დაცვის მხარეს, შესაძლოა, გადაწყვეტი აღმოჩნდეს ბრალდებულის უფლებების რეალიზაციისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ამასთანავე, მოსარჩელის კატეგორიაში მყოფი ბრალდებულები მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით ვერ სარგებლობენ იმ საპროცესო უფლებებითა და ინსტრუმენტებით, რომლებიც დადგენილია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მაგალითად, მათ არ შეუძლიათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მოითხოვონ მოწმის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა პოზიციით, სადავო ნორმა არსებითად თანასწორ პირებს საგრძნობლად ამორებს თანაბარი შესაძლებლობებისაგან: საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის წესის ფარგლებში დაცვის მხარე სრულადაა ჩამოცილებული დაკითხვის პროცესს, 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსის მოქმედების ფარგლებში კი მას აქვს მეტი შესაძლებლობა, ეჭვქვეშ დააყენოს მოწმის სანდოობა და გავლენა მოახდინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე.

11. მოსარჩელე მხარემ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე განაცხადა, რომ მოწმის საგამოძიებო ორგანოში სავალდებულო დაკითხვის ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს კონკრეტული დანაშაულების ცხელ კვალზე გახსნის აუცილებლობა, პროკურორთა გადამხადების საჭიროება 2009 წლის 9 ოქტომბრის საპროცესო კოდექსით დადგენილ რეალობასთან ადაპტაციისათვის და დაბალი სამოქალაქო თვითშეგნების ფონზე იმ რისკების თავიდან აცილება, რაც შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქეთა მიერ საგამოძიებო ორგანოსთან თანამშრომლობაზე უარის თქვამ. ამასთანავე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები ლოგიკურ კავშირში არაა სადავო ნორმებით დადგენილ დიფერენცირებასთან და არ არსებობს რაიმე კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ამგვარი შემზღუდველი ნორმების შემოღება აუცილებლობას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეთა პოზიციით არ არსებობს რაიმე დაუძლეველი ინტერესი, რომელიც გაამართლებდა ბრალდებულთა მიმართ სადავო ნორმებით დადგენილ



განსხვავებულ მოპყრობას. აღნიშნული არგუმენტაციის გათვალისწინებით, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის სადავო დებულებით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული კანონის წინაშე თანასწორობის ძირითადი უფლება.

12. №1235 კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ ყველა მოწმის დაკითხვის წესი, მათი ერთნაირი საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, ერთგვაროვანი უნდა იყოს. ყველა პირი, რომელსაც აქვს მოწმის სტატუსი, მიუხედავად იმისა, თუ რა საქმესთან/დანაშაულთან დაკავშირებით იკითხება იგი, არსებითად თანასწორად უნდა იქნეს მიჩნეული. განსახილველ შემთხვევაში შესადარებელ კატეგორიას განეკუთვნება, ერთი მხრივ, პირი, რომელსაც 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებით ენიჭება მოწმის სტატუსი და იკითხება 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო, მეორე მხრივ, პირი, რომელსაც სხვა დანაშაულთან მიმართებით ენიჭება მოწმის სტატუსი და იკითხება 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

13. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ სადავო ნორმებით ხორციელდება მოწმეთა მიმართ დიფერენცირებული მოპყრობა. არათანასწორ მოპყრობას განაპირობებს ის გარემოება, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რა დანაშაულთან მიმართებით ენიჭება პირს მოწმის სტატუსი. დიფერენცირებული მოპყრობა თანასწორ პირებს მნიშვნელოვნად აშორებს თანაბარი შესაძლებლობებიდან, ვინაიდან მოწმეთა გარკვეული ნაწილის მიმართ მოქმედებს საგამოძიებო ორგანოში სავალდებულო დაკითხვის წესი, რომელსაც დაცვის მხარე არ ესწრება. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოწმეთა დაკითხვის წესი, მათ შორის, ითვალისწინებს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაბამისი იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს, რაც ზრდის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოწმეზე უკანონო ზემოქმედების შესაძლებლობას.

14. ამის საპირისპიროდ, 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საგამოძიებო ორგანოების მხრიდან მხოლოდ პირის გამოკითხვის შესაძლებლობას, რაც ნებაყოფლობითი ხასიათისაა, საგამოძიებო ეტაპზე მოწმის დაკითხვა ხდება სასამართლო პროცესზე მაგისტრატის მოსამართლის წინაშე, რაც მოწმის უფლებების დაცვის მეტად ქმედით გარანტიას წარმოადგენს. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლისა და 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით ასევე განსხვავებულადაა მოწესრიგებული მოწმის სტატუსის მინიჭების წესი, 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსით ეს ხდება პირის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, ხოლო 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსის თანახმად, ყველა პირი, რომელსაც გამომძიებელი ან პროკურორი დაიბარებს დაკითხვაზე, ავტომატურად ხდება მოწმე. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ მოწმე ნებაყოფლობით არ ითანამშრომლებს გამომძიებლსთან მისი იძულებითი დაკითხვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაგისტრატ მოსამართლესთან, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ არსებობს მოწმის დაკითხვის აუცილებლობა. ამის საპირისპიროდ, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამომძიებელსა და პროკურორს შეუძლიათ, სავალდებულოდ დაკითხონ ნებისმიერი პირი, ხოლო გამოუცხადებლობის ან ჩვენების მიუცემლობისათვის მოწმეს დააკისრონ შესაბამისი პასუხისმგებლობა.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, №1235 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიიჩნევს, რომ 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მოწმეების დაკითხვის განსხვავებული წესი დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს.

16. №1234 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, გარკვეულ დანაშაულთა გამოძიებისას მოწმის დაკითხვა ხორციელდება 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, აღნიშნული წესი კი ბრალდების მხარეს აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში მტკიცებულების მოპოვების პროცესში და არღვევს ბრალდებულ პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

17. მოსარჩელის არგუმენტაციით, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს, ხოლო დაკითხვის ის წესი, რომელიც მოქმედებს 332-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული დანაშაულების გამოძიებისას, წარმოადგენს ინკვიზიციური პროცესის ნაწილს, რაც გულისხმობდა მოსამართლის მეტ ჩართულობას სამართალწარმოების პროცესში. მოქმედ სამართლებრივ რეალობაში, ინკვიზიციური სამართლის სისტემის შემადგენელი ნორმების მოქმედება იწვევს სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევას. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმების თანახმად, მოწმეს ეკისრებოდა ვალდებულება, გამოცხადებულიყო არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ საგამოძიებო ორგანოში პროკურორის/გამომძიებლის მოთხოვნით და მიეცა ჩვენება.



ასეთ ვითარებაში ბრალდების მხარეს გააჩნია შესაძლებლობა, გამოძიების ეტაპზე მოიპოვოს კონკრეტული მტკიცებულება - მოწმის ჩვენება. ამასთანავე, მოწმეს არ აქვს ვალდებულება, ჩვენება მისცეს დაცვის მხარეს, ბრალდებული მთლიანად დამოკიდებულია მოწმის ნებელობაზე. შესაბამისად, დაცვის მხარე, მოწმეთა დაკითხვის ანალოგიური უფლებამოსილების არარსებობის პირობებში მოკლებულია შესაძლებლობას, მოიპოვოს სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და წონადი მტკიცებულება, მოწმის ჩვენება.

18. მოსარჩელე მხარემ განმარტა, რომ სისხლის სამართლის ინკვიზიციურ პროცესში, საგამოძიებო ორგანოების ზემოაღნიშნული პრივილიგირებული მდგომარეობის დამაბალანსებელი გარკვეულწილად მოსამართლე იყო, რომელსაც ჰქონდა ვალდებულება, ხელი შეეწყოს მხარისათვის მტკიცებულებათა გამოთხოვაში, თუკი მას უძნელდებოდა მტკიცებულებათა აღმოჩენა და წარდგენა. ამასთან, ის ახორციელებდა სასამართლო კონტროლს გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომელიც დაკავშირებული იყო მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან. მოქმედი საპროცესო მოდელის პირობებში მოსამართლეს მსგავსი შესაძლებლობა აღარ გააჩნია. ამავდროულად, საგამოძიებო ორგანოებში მოწმის დაკითხვის წესთან მიმართებით კონტროლის შესაძლებლობებს მოკლებულია დაცვის მხარეც. ამრიგად, ბრალდების მხარის პრივილიგირებული მდგომარეობის დაბალანსება ვერც მოსამართლის და ვერც დაცვის მხარის მიერ ვერ ხდება.

19. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის სავალდებულო წესი წარმოადგენს დაცვისა და ბრალდების მხარის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ რეგულაციას. აღნიშნული ნორმა ბრალდების მხარეს აძლევს უფლებამოსილებას, დაკითხოს მოწმე სავალდებულო წესით, ხოლო ამგვარ შესაძლებლობას არ ანიჭებს დაცვის მხარეს. ამასთანავე, ამგვარი წესით მტკიცებულების მოპოვება შეიცავს მოწმეზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის რისკებს და უარყოფითად აისახება მტკიცებულების ხარისხზე.

20. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ არაკონსტიტუციურია მოწმის დაკითხვის ის წესი, რომელიც დაცვის მხარესთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს ბრალდების მხარეს და მხოლოდ ამ უკანასკნელს ანიჭებს საგამოძიებო ეტაპზე მოწმის სავალდებულო წესით დაკითხვის შესაძლებლობას. ამრიგად, მოსარჩელეთა პოზიციით, სადავო ნორმებით დადგენილი მოწმის დაკითხვის წესი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებს.

21. მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის პოზიციით, მოწმის დაკითხვის ახალი წესი, განსხვავებით 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი რეგულაციისაგან, გამოძიების ეტაპზე პირს საგამოძიებო ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას არ აკისრებს. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის/დაზარალებულის ჩვენება უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა, რომლის მოპოვებაზეც დიდწილადაა დამოკიდებული დანაშაულის ჩამდენი პირის იდენტიფიცირება, ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და გამოძიების სწორად წარმართვა. რამდენადაც არსებობდა რისკი, რომ დაბალი სამოქალაქო თვითშეგნებისა და სამართალდამცავ სისტემასთან მოქალაქეთა თანამშრომლობის კულტურის ნაკლებობის გამო საფრთხე შექმნოდა გამოძიების ეფექტურად წარმართვას და დანაშაულის გახსნას, საკანონმდებლო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეტაპობრივად ამოქმედებულიყო მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი და ძველი წესის მოქმედება გაგრძელებულიყო რიგი დანაშაულების გამოძიებისას. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმები, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოს მნიშვნელოვან ბერკეტს, რათა მოხდეს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

22. მოპასუხის განცხადებით, ბრალდებულთა ან მოწმეთა კონკრეტულ კატეგორიაზე განსხვავებული სამართლებრივი წესების გავრცელება, a priori, არ გულისხმობს, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია. მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულთა შორის, ისევე როგორც მოწმეთა შორის, დიფერენცირების ნიშანს წარმოადგენს დანაშაულთა სახეობები, ხოლო ამგვარი დიფერენცირების ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილი დანაშაულების ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა და მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობა. იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლისათვის უცნობი იყო, თუ რა გავლენას იქონიებდა დანაშაულთა გამოძიების პროცესზე მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედება, საკანონმდებლო ორგანომ საჭიროდ მიიჩნია რიგ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა გამოძიება გარდამავალ ეტაპზე კვლავ წარმოებულიყო დაკითხვის ძველი წესით. ამასთანავე, საგამოძიებო ორგანოს საჭირდებოდა გარკვეული ვადა, რათა ადაპტირებულიყო ახალ საპროცესო რეალობასთან და არ შეფერხებულიყო გამოძიების მიმდინარეობა.



23. მოპასუხე მხარის განმარტებით, გარდა იმისა, რომ ბრალდებულთა გარკვეული კატეგორიის საქმის გამოძიებისას მოწმის დაკითხვა ხდება 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსით დადგენილი წესით, აღნიშნული ბრალდებულებები ასევე ვერ სარგებლობენ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ რეგულაციებით, რომლებიც დაკავშირებულია გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვასთან. ამგვარი რეგულაციის მიზანს კი ჰიპოთეტურად შესაძლოა გარკვეულ ეტაპზე წარმოადგენდეს ინკვიზიციურობის ელემენტის შენარჩუნება.

24. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის პოზიციით, იქიდან გამომდინარე, რომ გასაჩივრებული რეგულაცია დროებითი ხასიათისაა და ბრალდებულთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა არ არის ინტენსიური, დიფერენცირების შეფასება უნდა მოხდეს რაციონალური დიფერენცირების ტესტის გამოყენებით. მოპასუხის განმარტებით, სადავო ნორმები მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებენ საგამომიებო ეტაპზე მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის შესაძლებლობას, თუმცა ეს ემსახურება მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს, მათ შორის, გამოძიების ეფექტურად წარმოებასა და მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობას. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედი რედაქციის თანახმად, მოწმის დაკითხვის ძველი წესი გამოიყენება მხოლოდ ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიებისას, რაც განპირობებულია ამ კატეგორიის დანაშაულის სიმძიმედან და მისგან მომდინარე საფრთხეებიდან. სისხლის სამართლის მოქმედი საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სავალდებულო წესით დაკითხვის შესაძლებლობას მაგისტრატ მოსამართლესთან. აღნიშნული პროცედურა საჭიროებს შუამდგომლობის დაყენებას, ამ შუამდგომლობის განხილვასა და გადაწყვეტას, რაც გარკვეულწილად დროში ყოვნდება და ამან რიგ შემთხვევებში შეიძლება ზიანი მიაყენოს გამოძიების ინტერესებს. ტერორისტულ დანაშაულებთან მიმართებით აუცილებელია მაქსიმალურად სწრაფი რეაგირება და ინფორმაციის დროში დაყოვნების გარეშე მიღება, რის საშუალებასაც იძლევა მოწმის დაკითხვის 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსით დადგენილი წესი. მოპასუხე მიიჩნევს, რომ ის საფრთხე, რომელიც ტერორიზმიდან მომდინარეობს, ამართლებს ამგვარი დანაშაულების გამოძიებისას სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული მიდგომების დაწესებას.

25. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყოველწლიურად მცირდება იმ დანაშაულთა კატეგორიები, რომელთა გამოძიებისასაც მოწმის დაკითხვა ხდება ძველი წესით. აღნიშნული მიუთითებს კანონმდებლის სურვილზე, რომ ეტაპობრივად გაუქმდეს ძველი წესის მოქმედება და მოხდეს მისი მხოლოდ საგამონაკლისო, უკიდურესად აუცილებელ შემთხვევებში გამოყენება. სადავო ნორმებით დადგენილი წესი მოიცავს მხოლოდ გარდამავალ ეტაპს, რომლის განმავლობაშიც აუცილებელი იყო გარკვეული რისკების დაზღვევა და იმის გაანალიზება, თუ რამდენად იყო მზად საგამომიებო ორგანო და საზოგადოება მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებისათვის.

26. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით დაცულ უფლებაში ჩარევა გამართლებულია, აკმაყოფილებს თანაზომიერების კრიტერიუმებს და შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

27. კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განხილვის სხდომაზე მოწმედ მოწვეული დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი თამარ მესხია დაეთანხმა მოპასუხე მხარის პოზიციას სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით და მიუთითა, რომ საგამომიებო ორგანოს გადმოსახედიდან ახალი წესის ეტაპობრივად დანერგვა წარმოადგენს სწორ გზას, რამდენადაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოება იქნება უფრო მეტად მომზადებული მოწმის დაკითხვის ახალ წესთან ადაპტირებისათვის. გარდამავალ ეტაპზე ხდება გამომძიებლებისა და პროკურორების მომზადება იმ პროცესუალურ სიახლეებთან დაკავშირებით, რომლებიც დაკავშირებულია ახალი დაკითხვის წესის ამოქმედებასთან.

28. მოწმის განმარტებით, მოწმის დაკითხვის ძველი წესი, ახალ წესთან შედარებით, არის უფრო ეფექტური, რამდენადაც არ ითვალისწინებს დროით შეფერხებას. მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვა შეიძლება დაყოვნდეს 24 საათის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში, რამაც, რიგ შემთხვევებში, შეიძლება შეაფერხოს გამოძიება და ხელი შეუშალოს დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნას. თუმცა მოწმე მიიჩნევს, რომ მსგავსი ტიპის შეფერხება არ იქნება მძიმე შედეგის მომტანი და, საბოლოო ჯამში, მაინც შესაძლებელია ეფექტური გამოძიების წარმოება. ამასთანავე, პროკურატურის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ძველი წესით დაკითხვისას, თუ ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ პირს გააჩნია საქმესთან დაკავშირებული რელევანტური ინფორმაცია, ეს პირი უკვე ხდება მოწმე, ხოლო 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსის ფარგლებში, პირის მოწმედ გახდომა დაკავშირებულია სასამართლოში ფიცის დადებასთან. ამასთან, ძველი წესით მოწმის დაკითხვისას მას შესაძლოა პასუხისმგებლობა დაკისრებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის გამო, 2009 წლის 9



ოქტომბრის კოდექსით დადგენილი წესით კი, თუ პირი პირდაპირ სასამართლო პროცესზე შეიძენს მოწმის სტატუსს, მას შეუძლია, შეცვალოს გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება და თუ ამით მართლმსაჯულების განხორციელებას ხელი არ შეშლია, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

29. მოწმის განცხადებით, ძველი და ახალი წესით მოწმის დაკითხვის პროცედურა ბრალდებულებს არ აყენებს კარდინალურად განსხვავებულ პირობებში, რამდენადაც ისევე როგორც ძველი წესის მოქმედებისას ბრალდების მხარე ვერ ესწრება მოწმის სავალდებულო წესით დაკითხვას ვერც 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსით დადგენილი პროცედურის ფარგლებში. ამასთანავე, თუ საგამოძიებო ორგანოში მოხდა მოწმეზე უკანონო ზემოქმედება, დაცვის მხარეს შეუძლია, სასამართლოში დააყენოს შუამდგომლობა მოწმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

30. მოწმემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მას შემდეგ, რაც შემცირდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი დანაშაულების რაოდენობა, იყო მოლოდინი, რომ მოწმეები არ ითანამშრომლებდნენ საგამოძიებო ორგანოსთან და ბევრი შუამდგომლობის დაყენება იქნებოდა საჭირო მაგისტრატ მოსამართლესთან, თუმცა აღნიშნული მოლოდინი არ გამართლდა და საზოგადოება, როგორც წესი, ნებაყოფლობით თანამშრომლობს გამოძიებასთან. აღნიშნული ტენდენციის პირობებში უფრო მოსალოდნელია, რომ აღარ მოხდება ძველი წესის გამოყენების გადავადება და ტერორისტულ დანაშაულებთან მიმართებითაც ამოქმედდება მოწმის დაკითხვის ახალი წესი.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის ძალადაკარგულობა

1. №1234 და №1235 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 23 დეკემბრის (რეგისტრაციის ნომერი 1893-რს) საქართველოს კანონის პირველი პუნქტის საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „სადავო ნორმის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებამ, შესაძლოა, განსხვავებული სამართლებრივი მოცემულობები წარმოშვას, მისი გასაჩივრებული შინაარსი შეიძლება მნიშვნელოვნად, უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ შეიცვალოს. თუმცა, ნორმის ძველი, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის დროისთვის მოქმედი რედაქცია, ყველა შემთხვევაში ძალადაკარგულად ითვლება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“; II-5). „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმის არსებითი განხილვისას ძალადაკარგული ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.

2. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის მიზანია, არ მისცეს სამართალშემოქმედს შესაძლებლობა, ბოროტად ისარგებლოს სამართალშემოქმედებითი პროცესით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის №1/1/386 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-4). სამართალშემოქმედება დინამიკური პროცესია, რომლის ფარგლებშიც მუდმივად ხდება საკანონმდებლო ცვლილებები. ამ პირობებში, თუ არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა ყველა შემთხვევაში ავტომატურად გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება მნიშვნელოვნად გახდება დამოკიდებული კანონმდებლის ნებაზე, რამაც შესაძლოა არაგონივრულად გართულოს საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს, რამდენად მნიშვნელოვანია საქმის წარმოების გაგრძელება და ძალადაკარგული ნორმების კონსტიტუციურობის შეფასება ადამიანის უფლებების დაცვისათვის.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის სადავოდ გამხდარი



(ძალადაკარგული) რედაქცია მოწმის დაკითხვის 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის გამოყენებას ითვალისწინებდა რიგი მიმე და განსაკუთებით მიმე დანაშაულების (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 126¹, 178-ე, 179-ე, 276-ე, 323-ე-323², 325-ე-329-ე და 378² მუხლები) გამოძიებისას. ცვლილებების შედეგად შემცირდა იმ დანაშაულთა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლები) ჩამონათვალი, რომელთა გამოძიების ფარგლებშიც მოწმის დაკითხვისას 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი გამოიყენება. შესაბამისად, გარდა ხსენებული დანაშაულების (სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლები) გამოძიებისას, სხვა შემთხვევებში არ არსებობს მოწმის დაკითხვის ძველი წესის გამოყენების და, შესაბამისად, ამის გამო მოსარჩელეთა უფლების სამომავლო დარღვევის შესაძლებლობა.

4. ასევე აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე გიორგი ბურჯანაძე (№1235 კონსტიტუციურ სარჩელი) არ მიუთითებს, რომ სადავო ნორმებიდან გამომდინარე უკვე დაირღვა მისი, როგორც მოწმის უფლებები. იგი დავობს მხოლოდ მისი უფლებების სამომავლო დარღვევის შესაძლებლობაზე. ხოლო მეორე მოსარჩელის, როინ მიქელაძესთან მიმართებით, მხარის წარმომადგენელი მხოლოდ ზოგადად მიუთითებდა, რომ როინ მიქელაძეს, ისევე როგორც ყველა სხვა ბრალდებულს, გააჩნია მისი სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის სამართლებრივი ინტერესი. თუმცა, მოსარჩელე მხარეს არ მიუთითებია, სადავო ნორმის მოქმედებამ რა კონტექსტში გამოიწვია მისი უფლებების შეზღუდვა ან რა კონკრეტული საპროცესო ღონისძიების გამოყენება ვერ შეძლო სადავო ნორმების გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ იკვეთება, რომ მოსარჩელეებს გააჩნიათ ძალადაკარგული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის სამართლებრივი ინტერესი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 126¹, 178-ე, 179-ე, 276-ე, და 378² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიებაზე 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწმის დაკითხვის წესის გამოყენებას. შესაბამისად, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების თანახმად, სადავო ნორმის ხსენებული ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის ნაწილში №1234 და №1235 კონსტიტუციურ სარჩელებზე საქმე უნდა შეწყდეს.

5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის ახალი (მოქმედი) რედაქცია იმეორებს ძალადაკარგული სადავო ნორმის ნორმატიულ შინაარსს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიების ფარგლებში მოწმის დაკითხვის 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის გამოყენების საკითხთან მიმართებით. შესაბამისად, ამ კუთხით 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოქმედი რედაქცია კვლავ შეიცავს მოსარჩელეთა უფლების დარღვევის რისკს. მსგავს შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლო „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე აგრძელებს სამართალწარმოებას და წყვეტს ძალადაკარგული სადავო ნორმის კონსტიტუციურობას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“). აღნიშნულიდან გამომდინარე, №1234 და №1235 კონსტიტუციური სარჩელების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიების დროს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწმის დაკითხვის წესის გამოყენებას.

2. №1234 და №1235 კონსტიტუციურ სარჩელებზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაფასებელი მოცემულობა

6. მოსარჩელე მხარე №1234 და №1235 კონსტიტუციური სარჩელების ფარგლებში, ითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით. შესაბამისად, კონსტიტუციური დავის გადაწყვეტა მოითხოვს სადავო ნორმების შესაბამისობის დადგენას სხვადასხვა შინაარსის მქონე კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით. ამავე დროს, №1234 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიუთითებს სადავო ნორმის საფუძველზე ბრალდებულთა



შორის თანასწორობის უფლების დარღვევაზე, ხოლო №1235 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მოწმეთა შორის თანასწორობის დარღვევაზე. ამდენად, ხსენებულ ორ სარჩელში მითითებული თანასწორობის უფლების დარღვევის საკითხი დამოუკიდებელ შეფასებას საჭიროებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო თითოეულ შემთხვევაში ხსენებულ მოთხოვნაზე ცალ-ცალკე იმსჯელებს.

3. №1234 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით

7. 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე–323², 325-ე–329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიების დროს დაკითხვა წარმოებს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. მოსარჩელე მხარე ითხოვს ხსენებული წესის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

8. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ეს ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II - 1).

9. ნიშანდობლივია, რომ „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს – პირიქით“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2).

10. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შეზღუდვა სახეზე იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნორმა არსებითად თანასწორ პირებს უქმნის განსხვავებულ შესაძლებლობებს, აღჭურავს განსხვავებული უფლებებითა თუ ვალდებულებებით ან არსებითად უთანასწორობა მიმართ გაავრცელებს ერთნაირ სამართლებრივ რეჟიმს.

3.1. შესაძარებელ პირთა დიფერენცირება

11. სადავო ნორმის კონსტიტუციურობის სრულფასოვნად შეფასებისათვის, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, თუ რაში გამოიხატება ბრალდებულთა გარკვეული კატეგორიის მიმართ დიფერენცირებული მოპყრობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კონკრეტულ დანაშაულთა (323-ე–323², 325-ე–329-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები) გამოძიების დროს დაკითხვა წარმოებს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

12. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის დაკითხვას ახდენს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარე. სადავო ნორმა კი მიუთითებს გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის გამოყენებაზე. შესაბამისად, სადავო ნორმა, ერთი მხრივ, ადგენს ბრალდების მხარის უფლებამოსილებას, მოწმე დაკითხოს 1998 წლის საპროცესო კოდექსის დადგენილ წესით, მეორეს მხრივ კი, გამორიცხავს გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით დაცვის მხარის მიერ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მექანიზმებით სარგებლობას. სადავო ნორმების ხსენებული შინაარსით განმარტების სისწორე ასევე დაადასტურეს საქმეზე მოწვეულმა მოწმემ და მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა. შესაბამისად, დადგენილი დიფერენცირების



ფარგლების განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხსენებული ორი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ბრალდებულისათვის დადგენილ უფლებრივ მდგომარეობას შორის სხვაობა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მიერ მოწმის დაკითხვის თვალსაზრისით.

13. საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით 114-ე მუხლის თანახმად, „გამოძიების სტადიაზე ... დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატის მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, თუ: ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს; ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს; გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს“. ამდენად, ხსენებული ნორმა ადგენს დაცვის მხარის მიერ გამოძიების სტადიაზე რიგ შემთხვევებში (როდესაც მოწმის არსებით სხდომაზე დაკითხვა სათუთა) მოწმის იძულებით დაკითხვის უფლებას.

14. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ მოწმის სავალდებულოდ დაკითხვას საგამოძიებო ორგანოს მიერ და არ ახდენს რაიმე წესის რეგლამენტირებას, რომლის საფუძველზეც დაცვის მხარეს შესაძლებლობა ექნება, თავად ან სასამართლოს მეშვეობით მოახდინოს პირის სავალდებულო დაკითხვა. 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამცველს უფლება აქვს, შეაგროვოს საჭირო ცნობები, მათ შორის, გამოავლინოს და კითხვები დაუსვას პირებს. ამასთან, დასაბუთებული მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დაცვის მხარის დასაბუთებული მოთხოვნა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, მათ შორის მოწმის დაკითხვის შესახებ სავალდებულოდ შესასრულებელია გამომძიებლისა და პროკურორისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში დაცვის მხარეს აქვს შესაძლებლობა, პროკურორისგან მოითხოვოს მოწმის იძულებით დაკითხვა, თუმცა არ შეუძლია თავად დაკითხოს იგი.

15. ამდენად ნათელია, რომ ხსენებული ორ კოდექსით განსაზღვრული მოწმის დაკითხვის წესით, დაცვის მხარის მიერ მოწმის დაკითხვის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესაბამისად, სადავო ნორმა ხსენებული თვალსაზრისით განსხვავებულ უფლებრივ რეჟიმში აქცევს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში ბრალდებულ პირებს, სხვა დანაშაულში ბრალდებულ პირებთან შედარებით.

16. ამავე დროს, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში გამომძიებელს/პროკურორს შესაძლებლობა აქვს, გამოძიების ეტაპზე სავალდებულოდ დაკითხონ ნებისმიერი პირი, ეს უკანასკნელი კი ვალდებულია, მისცეს ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა. 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ მაგისტრატის მოსამართლის წინაშე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი ფლობს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ყველა სხვა შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოსთან თანამშრომლობა ნებაყოფლობითი ხასიათისაა.

17. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით გამოძიების წარმოებისას გამომძიებელს/პროკურორს უფლება აქვს, გამარტივებული წესით, პროცედურული დაბრკოლებების გარეშე, თავად გადაწყვიტოს, თუ ვინ შეიძლება იყოს მოწმე მიმდინარე საგამოძიებო პროცესში. ასეთი პირი საგამოძიებო ორგანოში დაიბარონ და იგი ვალდებული იქნება, მისცეს ჩვენება. ამასთანავე, საგამოძიებო ორგანოში პირის დაკითხვას არ ესწრება ნეიტრალური პირი, რომელიც რაიმე კუთხით ზედამხედველობას გაუწევს დაკითხვის პროცესს. მეორე შემთხვევაში კი გამოსაკითხი პირის სავალდებულოდ დაკითხვა და შემდგომში მისთვის მოწმის სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია მაგისტრატის მოსამართლეზე - ნეიტრალურ პირზე, რომელიც ობიექტურად აფასებს, რამდენად არსებობს ამა თუ იმ პირის დაკითხვის აუცილებლობა, დასაბუთებულია თუ არა ბრალდების მხარის მოთხოვნა პირის დაკითხვის შესახებ. ამასთანავე, მოწმის დაკითხვის პროცესი მიმდინარეობს მაგისტრატის მოსამართლის თანდასწრებით. იგი ზედამხედველობას უწევს მოწმის დაკითხვას და გარკვეულწილად წარმოადგენს ხსენებულ პროცესში მოწმის უფლებების დაცვის გარანტს. მაგისტრატის მოსამართლის წინაშე დაკითხვა უკეთ იცავს მოწმის შესაძლებლობას, უარი განაცხადოს ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემაზე, რომლებზეც პასუხის გაცემის ვალდებულებაც მას არ გააჩნია. მაგისტრატის მოსამართლის წინაშე დაკითხვის პირობებში უფრო მეტად ხდება საგამოძიებო ორგანოს მიერ მოწმისათვის მიმანიშნებელი კითხვების დასმის პრევენცია და სხვა.

18. ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების წესი ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბრალდებული პირის სამართლებრივ მდგომარეობაზე. სადავო ნორმის საფუძველზე, ბრალდებულთა კონკრეტული ნაწილის მიმართ გამომძიებელი/პროკურორი უფრო მარტივი პროცესუალური საშუალებით ახერხებს მტკიცებულების მოპოვებას, იმგვარად, რომ მათ არ ევალებათ პირის მოწმედ დაკითხვის აუცილებლობის დასაბუთება, ყველა სხვა ბრალდებულთა მიმართ მიმდინარე გამოძიების პროცესში კი



ბრალდების მხარეს პირის დაკითხვისათვის უწევს მოსამართლის ჩართვა და ნეიტრალური პირის დარწმუნება კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

19. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილ დანაშაულებში ბრალდებული პირები, ერთი მხრივ, ვერ სარგებლობენ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რიგი პროცესუალური საშუალებებით, მაგალითად, გამოძიების ეტაპზე მოწმის ჩვენების დეპონირების უფლებით, ხოლო, მეორე მხრივ, მათ წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების პროცესში საგამოძიებო ორგანო გამარტივებული წესით მოიპოვებს მოწმის ჩვენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაძარებელ პირთა მიმართ ადგილი აქვს დიფერენცირებულ მოპყრობას.

3.2. შესაძარებელ პირთა არსებითად თანასწორობა

20. სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობაზე მსჯელობისას, დიფერენცირების ფაქტის არსებობასთან ერთად, აუცილებელია განისაზღვროს, რამდენად წარმოადგენენ შესაძარებელი ჯგუფები არსებითად თანასწორ სუბიექტებს. განსახილველ შემთხვევაში შესაძარებელ პირებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში, ხოლო, მეორე მხრივ, ყველა სხვა დანაშაულში ბრალდებული პირები. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის პროცესში ყველა ბრალდებულს გააჩნია იდენტური საპროცესო სტატუსი და, შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზნებისათვის.

21. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „მე-14 მუხლზე მსჯელობისას პირთა არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბერუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-17). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძარებელ პირთა თანასწორობა უნდა შეაფასოს მოწმეთა დაკითხვის წესის კონტექსტში.

22. სისხლის სამართლის პროცესში მართლმსაჯულების განხორციელების პარალელურად მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად იყოს დაცული პირის კონსტიტუციური უფლებები, ბრალდებულს ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა, საპროცესო მექანიზმების გამოყენებით კონკურენცია გაუწიოს ბრალდების მხარეს და ამ ფორმით გავლენა მოახდინოს სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე. აღნიშნულ პროცესში ყველა ბრალდებულს გააჩნია ინტერესი, სასამართლოს წინაშე წარადგინოს საკუთარი პოზიციის გამამყარებელი ან ბრალდების მხარის არგუმენტაციის გამაბათილებელი მტკიცებულებები. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, დანაშაულის სიმძიმე გავლენას ახდენდეს ბრალდებულის მიერ დაცვის განხორციელების ინტერესზე. თუმცა ცხადია, რომ მძიმე დანაშაულში ბრალდება მხოლოდ და მხოლოდ დაცვის სათანადოდ განხორციელების აღმატებულ ინტერესზე შეიძლება მიუთითებდეს და არა პირიქით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პირებს, მინიმუმ, საპროცესო გარანტიებით სარგებლობის სხვა ბრალდებულების თანასწორი ინტერესი გააჩნიათ. სადავო ნორმა არეგულირებს მოწმის დაკითხვას გამორჩეულად მძიმე დანაშაულის გამოძიების ფარგლებში. შესაბამისად, პირის ხსენებულ დანაშაულში ბრალდება, საპროცესო მექანიზმებით სარგებლობის თვალსაზრისით, მის სხვა ბრალდებულებთან თანასწორი მოპყრობის საჭიროებას ვერ გამორიცხავს.

23. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებულ პირებს, მინიმუმ, სხვა ბრალდებულების თანასწორად გააჩნიათ მოწმის ჩვენების მოპოვების და ბრალდების მოწმეების დაკითხვის პროცესის სათანადოდ წარმართვის ინტერესი. შესაბამისად, ხსენებული სამართალურთიერთობის მიზნებისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში ბრალდებული პირები წარმოადგენენ სხვა ბრალდებულთა არსებითად თანასწორ სუბიექტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ზღუდავს კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

3.3. კანონის წინაშე თანასწორობის უფლების შეზღუდვის გამართლება

24. არსებითად თანასწორი პირების დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენება, თავისთავად, არ იწვევს თანასწორობის უფლების დარღვევას. რიგ შემთხვევებში შესაძლოა დიფერენცირება



კონსტიტუციურსამართლებრივად გამართლებული იყოს. ამავე დროს, დიფერენცირებული მოპყრობის კონსტიტუციურობის შეფასების მეთოდი განსხვავებული შეიძლება იყოს თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევასთან მიმართებით. „ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას ... სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა. ზოგჯერ შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, „სადავო ნორმების შეფასებისას სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ან შეფასების მკაცრ ტესტს. საკითხი, თუ რომელი მათგანით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, წყდება სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის, ჩარევის ინტენსივობისა და დიფერენცირების ნიშნის გათვალისწინებით. კერძოდ, თუ არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირების საფუძველია კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ნიშანი ან სადავო ნორმა ითვალისწინებს უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას - სასამართლო გამოიყენებს შეფასების მკაცრ ტესტს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/603 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-8). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია გაირკვეს, სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება ხომ არ ემყარება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე ნიშანს ან ხომ არ არის მაღალი ინტენსივობის.

26. მოცემულ შემთხვევაში დიფერენცირება ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რომელი დანაშაულის ჩადენაშია პირი ბრალდებული. შესაბამისად, იგი არ უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში სახელდებით მოხსენიებულ ნიშანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ მკაცრი შეფასების ტესტის გამოყენება დამოკიდებულია დიფერენცირების ინტენსივობაზე.

27. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, დიფერენცირების ინტენსივობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ „არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში იმყოფებიან, დიფერენცირება რამდენად მკვეთრად დააცილებს ამ უკანასკნელთ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებიდან“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25). აღნიშნულიდან გამომდინარე, დიფერენცირების ინტენსივობის შესაფასებლად უნდა განისაზღვროს გამომძიებლის/პროკურორის მიერ მოწმის სავალდებულო წესით დაკითხვა და ბრალდებულთა კონკრეტული კატეგორიისათვის მოწმის ჩვენების მაგისტრატ მოსამართლესთან დეპონირების უფლების შეზღუდვა რამდენად აშორებს ბრალდებულებს საპროცესო მექანიზმებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობებისგან.

28. როგორც უკვე აღინიშნა, 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსით მოწმის დაკითხვისას გამომძიებელს/პროკურორს შეუძლია, მოწმის სტატუსით დაიბაროს ნებისმიერი პირი და ეს პირი ვალდებულია, გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება. 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბრალდების მხარე უფლებამოსილია, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა იმ პირის სავალდებულოდ დაკითხვის შესახებ, რომელიც შესაძლოა, ფლობდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციას და იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოკითხვაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში ბრალდების მხარეს შეუძლია გამომძიებლისას სავალდებულოდ დაკითხოს ის პირი, რომელიც ნებაყოფლობით არ თანამშრომლობს საგამომძიებო ორგანოსთან. ამასთანავე, დაცვის მხარე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ესწრება მოწმის დაკითხვის პროცესს. ორივე შემთხვევაში გამომძიებლის ეტაპზე დაკითხული მოწმის ხელახალი დაკითხვა ხდება საქმის არსებითი განხილვისას, რა დროსაც ყველა ბრალდებულს გააჩნია ერთნაირი საპროცესო შესაძლებლობა, მოახდინოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვა ან წარადგინოს საწინააღმდეგო მტკიცებულებები. ამდენად, ამ თვალსაზრისით დიფერენცირება უმთავრესად გამოიხატება გამომძიებლის დროს ბრალდების მოწმის დაკითხვისას მოსამართლის ჩართულობაში. ხსენებულ პროცესში დაცვის მხარის მონაწილეობის თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში ერთნაირი რეჟიმია დადგენილი.

29. ამავე დროს, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილი, 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, ითვალისწინებს დაცვის მხარის მიერ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის შესაძლებლობას, თუ არსებობს ამავე მუხლში ჩამოთვლილი საფუძველები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა უდავოდ წარმოადგენს



მტკიცებულებათა მოპოვების მნიშვნელოვან მექანიზმს, რომლის გამოყენებითაც მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, მაგისტრალი მოსამართლის წინაშე დაკითხოს ის პირი, რომლის არსებით სხდომაზე დაკითხვაც შესაძლოა შეუძლებელი ან მნიშვნელოვნად გართულებული აღმოჩნდეს და შემდგომში არსებით სხდომაზე მტკიცებულებად წარმოადგინოს ამ გზით მიღებული ჩვენება. თუმცა აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს სასამართლოსათვის მტკიცებულების წარდგენის ერთ-ერთ საპროცესო საშუალებას და, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულთა გარკვეულ წრეს ეზღუდება ამ გზით მოწმის დაკითხვა, მათ კვლავ რჩებათ რიგი საპროცესო საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც მხარეს შეუძლია, სასამართლოს არსებითი განხილვის სხდომაზე წარუდგინოს მტკიცებულება. დაცვის მხარეს შესაძლებლობა აქვს, მოწმის არსებით სხდომაზე დაკითხვის შეუძლებლობისას წარადგინოს გამოკითხვის ოქმი, ხოლო თუ მოწმის დაკითხვა შესაძლებელია, გამოიძახოს იგი არსებით სხდომაზე ან მოახდინოს მისი დისტანციური დაკითხვა. ამგვარად, დაცვის მხარეს გააჩნია მტკიცებულებათა მოპოვების სხვა საპროცესო საშუალებები.

30. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს ადგენს მტკიცებულებების მოპოვების ერთ კონკრეტულ ასპექტში, იმ პირობებში, როდესაც სხვა საპროცესო უფლებები ორივე შესაძარებელ ჯგუფს თანაბრად აქვთ. ამავე დროს, სადავო ნორმა დროებითი ხასიათისაა და მოქმედებს მხოლოდ 2019 წლის პირველ იანვრამდე. ამდენად, სადავო ნორმით არ ხდება ბრალდებულების საპროცესო მექანიზმებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობებისგან იმდენად დაშორება, რომ დადგენილი დიფერენცირება ინტენსიურად იქნეს მიჩნეული.

31. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადავო ნორმის კონსტიტუციურობა უნდა შეფასდეს რაციონალური დიფერენცირების ტესტის გამოყენებით, რაც გულისხმობს, რომ: „ა) საკმარისია დიფერენცირებული მოპოვების რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდუვალობა ან საჭიროება; ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

32. ვინაიდან სადავო ნორმით დადგენილ უფლებრივ დიფერენცირებას ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ასპექტი გააჩნია (ბრალდების მხარის მიერ მოწმის საგამომიებო ორგანოში დაკითხვა და დაცვის მხარის მიერ მოწმის ჩვენების დეპონირების შეუძლებლობა), სასამართლო დიფერენცირების რაციონალურობას თითოეულ მათგანთან მიმართებით ცალ-ცალკე შეაფასებს.

3.3.1. მოწმის საგამომიებო ორგანოში დაკითხვის წესი

33. რაციონალური ტესტის ფარგლებში დიფერენცირება გამართლებადია, თუ მას ღირებული მიზანი გააჩნია და გონივრულ დასაბუთებას ემყარება. მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირების ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილი დანაშაულების ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა და მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობა. მხარის პოზიციით კანონმდებლისათვის უცნობი იყო, თუ რა პრაქტიკული გავლენა შეიძლება მოეხდინა მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებას. ამასთანავე, საგამომიებო ორგანოს სჭირდებოდა გარკვეული დრო ახალ საპროცესო რეალობასთან ადაპტაციისათვის. ამდენად, მოწმის დაკითხვის ახალი სისტემის დანერგვიდან მომდინარე შესაძლო საფრთხეების/რისკების განეიტრალების მიზნით, კანონმდებელმა გადაწყვიტა ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიებისას გარდამავალ პერიოდში მოწმის დაკითხვა წარმოებულყოფა კვლავ ძველი წესის გამოყენებით. მოპასუხე მხარის და საქმეზე მოწმედ მოწვეული დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ თამარ მესხიას მოსაზრებით, მოწმის დაკითხვის ახალი წესის პირდაპირ ამოქმედებას, საგამომიებო ორგანოს თანამშრომლების მოუმზადებლობის ან სხვა რაიმე ფაქტორის გამო, შესაძლოა შეეფერხებინა გამოძიების წარმოება და ხელი შეშლოდა მართლმსაჯულების აღსრულებას. ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიებისას მომეტებულად არსებობს ხსენებული რისკების თავიდან აცილების ინტერესი.

34. 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მნიშვნელოვნად შეიცვალა საგამომიებო ორგანოს მოწმესთან ურთიერთობის წესი. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში საგამომიებლის/პროკურორის მიერ მოწმის დაკითხვა დაკავშირებულია ნაკლებ პრაქტიკულ სირთულეებთან. მათ შეეძლოთ, მოწმედ დაეკითხათ ნებისმიერი პირი და აღნიშნულ პირს გააჩნდა საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობის ვალდებულება. ამისაგან განსხვავებით, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში პირის მიერ ჩვენების მიცემა გახდა ნებაყოფლობითი, ხოლო პირის სავალდებულოდ დაკითხვა ხდება მხოლოდ დასაბუთებული



შუამდგომლობის საფუძველზე მაგისტრატის მოსამართლის წინაშე. ის, თუ რამდენად ითანამშრომლებს საზოგადოება საგამოძიებო ორგანოებთან და ნებაყოფლობით მიაწვდის მას ინფორმაციას დანაშაულის შესახებ, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის საგამოძიებო ორგანოსადმი ნდობის ხარისხზე, სამოქალაქო თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის დონეზე და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელს, რომელიც ამკვიდრებს მოწმესთან ურთიერთობის ახალ საკანონმდებლო რეგულაციებს, შესაძლოა არ ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია მისი შესაძლო პრაქტიკული შედეგების შესახებ. რიგ შემთხვევებში, დანაშაულის ეფექტურად გამოძიება შეიძლება მნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული მოწმის მიერ საგამოძიებო ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდებაზე და სხვაგვარად შეუძლებელი იყოს დანაშაულის იდენტიფიცირება და მართლმსაჯულების აღსრულება.

35. საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან, მტკიცებულების მოპოვების წესთან ან სხვა პროცედურულ საკითხებთან, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვან გავლენას შეიძლება ახდენდეს მთლიანი გამოძიების პროცესის ეფექტურად განხორციელებასა და მართლმსაჯულების აღსრულებაზე. კანონმდებელს ბრალდებულთა უფლების დაცვასთან ერთად აკისრია დანაშაულის გამოვლენის, გამოძიებისა და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმების შექმნის ვალდებულება. დანაშაულთან დაკავშირებით მოწმისაგან ინფორმაციის მიღება შესაძლოა, გამოძიების ცენტრალური საკითხი იყოს, შესაბამისად, ამ ინფორმაციის მოპოვების წესის რეგლამენტირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საგამოძიებო პროცესის წარმოებაზე. ამდენად, გონივრულია კანონმდებლის მიდგომა, რომლის ფარგლებში იგი ითვალისწინებს ახალი წესის ამოქმედებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ სირთულეებს. შესაძლებელია საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებს სჭირდებოდეთ გარკვეული ვადა, რათა სათანადოდ მოემზადონ ახალი წესის ამოქმედების პირობებში გამოძიების შესაბამისად წარმოებისათვის. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა აუცილებელი იყოს პროკურატურის თანამშრომლების გადამზადება გამოსაკითხ პირთან ურთიერთობისათვის, მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაყენებასა თუ სხვა პროცესულ საკითხებთან მიმართებით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ბრალდების მხარის მიერ მოწმის დაკითხვის ახალი წესის ეტაპობრივი ამოქმედება შესაძლებელია განპირობებული იყოს გამოძიების შეფერხების თავიდან აცილების ინტერესებით.

36. ამავე დროს, საგამოძიებო ორგანოთა გარკვეული ტიპის საკანონმდებლო ცვლილებებთან ადაპტაციის, ისევე როგორც ამ ცვლილებების გამოძიების პროცესზე ზემოქმედების შეფასების ვადები, არ შეიძლება იყოს იმდენად ხანგრძლივი, რომ გარდამავალი, დროებითი სარგებლობის წესი ფაქტობრივად იქცეს მუდმივი მოქმედების ნორმად. ამ თვალსაზრისით, კანონმდებელი უნდა ცდილობდეს, მაქსიმალურად სწრაფად და გონივრულ ვადაში მოახდინოს გარდამავალი პერიოდის გადალახვა და არსებული დიფერენცირების აღმოფხვრა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლით დადგენილი სხვადასხვა დროს მოქმედი წესი ცხადყოფს, რომ პერიოდულად მცირდებოდა იმ დანაშაულთა კატეგორია, რომელთა გამოძიებისას 2009 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი გამოიყენებოდა. კერძოდ, ხსენებული წესი 2016 წლის 20 თებერვლამდე გამოიყენებოდა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, 2018 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 126¹, 178-ე, 179-ე, 276-ე, 323-ე-323², 325-ე-329-ე და 378² მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებისას, ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323² და 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებისას. აღნიშნული მიუთითებს საკანონმდებლო ორგანოს მიზანზე, გარკვეული გარდამავალი პერიოდის შემდეგ სრულად მოხდეს მოწმის დაკითხვის ახალი წესის გამოყენება. შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე კონკრეტული გარემოება, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნიოს, რომ საკანონმდებლო ორგანო მიზნად ისახავს სადავო წესის მუდმივად შენარჩუნებას.

37. ამდენად, სადავო ნორმის მიღებით კანონმდებელი ცდილობს, შეამციროს საგამოძიებო ორგანოს საქმიანობის შეფერხების რისკი ისეთი კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით, რომელთა გამოძიების მიმართაც არსებობს მომეტებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესი. ტერორიზმისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულების ეფექტურად გამოძიება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რამდენადაც დასახელებული დანაშაულებები მიმართულია ისეთი მნიშვნელოვანი სიკეთეების ხელყოფისაკენ, როგორებიცაა: სახელმწიფო უსაფრთხოება და უშიშროება, ადამიანის ძირითადი უფლებები, საზოგადოებრივი წესრიგი და სხვა. რიგ შემთხვევებში, საგამოძიებო ორგანოს მოუშვადებლობას, საზოგადოების მხრიდან საგამოძიებო ორგანოებთან ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე უარის თქმას, შესაძლოა მნიშვნელოვნად შეეფერხებინა გამოძიების პროცესი. დასახელებულ დანაშაულთა გამოძიების შეფერხებამ კი შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს და მნიშვნელოვნად დააზიანოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესი.

38. ამდენად, სადავო ნორმით დადგენილი წესი მიმართულია გარდამავალ პერიოდში გამოძიების ეფექტურად წარმოებისა და მართლმსაჯულების აღსრულების შეფერხების რისკის თავიდან აცილებისაკენ. ამ



თვალსაზრისით, ბრალდებულთა დიფერენცირება ემსახურება მნიშვნელოვან მიზნებს და, ამასთანავე, დიფერენცირება ლოგიკურ კავშირშია დასახელებული მიზნების მიღწევასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ დანაშაულთა გამოძიებისას მოწმეთა დაკითხვის ძველი წესის გამოყენება არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს.

3.3.2. საგამოძიებო ეტაპზე დაცვის მიერ მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა

39. მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიიჩნევს სადავო ნორმის იმ ნორმატიულ შინაარსს, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილში დასახელებულ დანაშაულებში ბრალდებული პირები ვერ სარგებლობენ 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსის 114-ე მუხლით დადგენილი მოწმის ჩვენების მაგისტრატ მოსამართლესთან დეპონირების უფლებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ ამ შემთხვევაშიც დიფერენცირების მიზანს წარმოადგენს გარდამავალ ეტაპზე საგამოძიებო საქმიანობისა და მართლმსაჯულების აღსრულების შეფერხების თავიდან აცილება და ახალი წესის მყისიერად ამოქმედების შესაძლო უარყოფითი შედეგების პრევენცია. დამატებით მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ კიდევ ერთ ჰიპოთეტურ მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს ინკვიზიციურობის პრინციპის გარკვეულ ეტაპამდე შენარჩუნება, რომელსაც ემყარებოდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

40. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პროცესის ინკვიზიციური ან შეჯიბრებითი მოდელის შერჩევასა საკანონმდებლო ორგანოს ფართო მიხედულების ფარგლები გააჩნია. სახელმწიფო ამა თუ იმ მოდელს ირჩევს, რათა უკეთ უზრუნველყოს დანაშაულთან ბრძოლა და პირების საპროცესო უფლებების დაცვა. ამდენად, მოდელის შერჩევა წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გზას და არა თვითმიზანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ინკვიზიციური ბუნების შენარჩუნება არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, რომლის მისაღწევადაც შეიძლება კონსტიტუციური უფლება შეიზღუდოს.

41. როგორც უკვე აღინიშნა, საგამოძიებო პროცესის ეფექტურობის შენარჩუნება და მართლმსაჯულების აღსრულება ნამდვილად წარმოადგენს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს, რომელიც გამოდგება კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის გამართლებისათვის. თუმცა სადავო ნორმის კონსტიტუციურად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ლეგიტიმურ მიზანზე მითითება, ასევე აუცილებელია დიფერენცირება რეალურ კავშირში იყოს დასახელებულ მიზნებთან და იძლეოდეს მათი მიღწევის საშუალებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალ საპროცესო წესებთან ადაპტირებისათვის შესაძლოა, საგამოძიებო ორგანოს სჭირდებოდეს გონივრული ვადა და ამ ვადის მიცემა ემსახუროდეს გამოძიების ეფექტურობის შენარჩუნების მიზანს. თუმცა გამოძიების ეფექტურად განხორციელება კავშირში არ არის ბრალდებულისათვის მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის შეზღუდვასთან. ბრალდებულის მიერ მოწმის დაკითხვა არ ამცირებს ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვების ან/და სხვა საპროცესო ღონისძიების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში ბრალდებულის მოთხოვნით მოწმის დაკითხვა შესაძლოა დაეხმაროს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასა და, შესაბამისად, გამოძიების ინტერესებს.

42. საქმეზე მოწმედ დაკითხულმა პროკურორმა თამარ მესხიამ მიუთითა, რომ გამოძიების ეტაპზე დაცვის მხარის მიერ წარმოებული გამოძიების პროცესი და მათ მიერ მტკიცებულებების მოპოვება, მათ შორის, მოწმეთა ჩვენების დეპონირება მაგისტრატ მოსამართლესთან ვერ შეაფერხებს საგამოძიებო ორგანოების საქმიანობას. ამავე დროს, მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც წარმოაჩენდა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლის ფარგლებშიც მოწმის დაკითხვა ხდება 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, დაცვის მხარის მოთხოვნით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის ჩვენების დეპონირებამ, თუნდაც ერთ შემთხვევაში, შეაფერხა გამოძიების სრულყოფილად განხორციელება და ხელი შეუშალა ბრალდების მხარეს საკუთარი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაში ან/და რაიმე ფორმით შეაფერხა დანაშაულთან ბრძოლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის მითითება გამოძიების ეფექტურად განხორციელებისა და სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირების კაპიტრის არსებობის შესახებ, არ ეფუძნება არც თეორიულ საფუძვლებსა და არც პრაქტიკულ გამოცდილებას.

43. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული მიზნები ვერ ამართლებს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაცვის მხარის მიერ მოწმის დაკითხვის თვალსაზრისით, ბრალდებულ პირთა დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას. ამავე დროს, სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323² და 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არ ხდება იმდენად ხშირად, რომ მათი გამოძიების ფარგლები დაცვის მხარის მიერ მოწმეთა



დაკითხვამ სასამართლოს მნიშვნელოვნად გადატვირთვა გამოიწვიოს. შესაბამისად, სადავო ნორმის დადგენილი დიფერენცირება ვერ გამართლებს ვერც სასამართლოს საქმიანობის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით. ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323² და 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებისას დაცვის მხარის მიერ მოწმის დაკითხვის საკითხი წესრიგდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

4. №1235 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით

44. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები იწვევს მოწმეთა დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, მოწმის დაკითხვა ხდება საგამოძიებო ორგანოში, მოწმე ვალდებულია, გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა. ხსენებულისგან განსხვავებით, ყველა სხვა დანაშაულთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებისას პირის მიერ ჩვენების მიცემა ნებაყოფლობითია, მისი სავალდებულოდ დაკითხვა კი ხდება მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. მოსარჩელები მიუთითებენ, რომ პირის დაკითხვა მოსამართლის წინაშე წარმოადგენს მნიშვნელოვან საპროცესო გარანტიას და ასეთ შემთხვევაში იგი დაცულია უკანონო ზემოქმედებისა თუ სხვა რისკებისაგან. შესაბამისად, ის მოწმეები, რომლებიც იკითხებიან საგამოძიებო ორგანოში, იმყოფებიან დიფერენცირებულ მდგომარეობაში და მსგავსი დიფერენცირება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს.

4.1. შესადარებელ პირებს შორის დიფერენცირებული მოპყრობა

45. სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობის გასარკვევად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, თუ რაში გამოიხატება შესადარებელ პირებს შორის დიფერენცირება. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის თანახმად, მოწმე ვალდებულია, გამოცხადდეს გამომძიებლისა და პროკურორის გამოძახებით და სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც იცის საქმის შესახებ. მოწმის არასაკმაყოფილო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ და მას დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა.

46. აღნიშნულისგან განსხვავებით, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირი სავალდებულოდ წესით შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი ფლობს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. პირის დაკითხვის აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ნეიტრალური პირი – მოსამართლე და არა პროფესიულად დაინტერესებული გამომძიებელი/პროკურორი. ამავე დროს, მოწმის სავალდებულოდ დაკითხვა ხდება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. იგი ზედამხედველობას უწევს მოწმის დაკითხვას და გარკვეულწილად წარმოადგენს ხსენებულ პროცესში მოწმის უფლებების დაცვის გარანტს.

47. ჩვენების მიცემის იძულება წარმოადგენს მოწმის ნებაზე ზემოქმედების ფორმას. შესაბამისად, მოწმისათვის იძულებითი დაკითხვის პროცესი შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს გარკვეულ სტრესთან. ამავე დროს, დაკითხვის პროცესში საკუთარი გამოუცდელობის ან/და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლოა პირმა არასწორად განსაზღვროს, რომელ კითხვებზე არა აქვს პასუხის გაცემის ვალდებულება, შესაბამისად, შესაძლოა მან იმაზე მეტი ინფორმაცია მიაწოდოს საგამოძიებო ორგანოებს, ვიდრე მას კანონით მოეთხოვება ან/და არ მიაწოდოს ინფორმაცია, რომლის გაცემის ვალდებულება აქვს და მის მიმართ დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოწმეს გააჩნია დაკითხვის პროცესის მისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში წარმართვის ინტერესი.

48. მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვა უკეთ იცავს მოწმის ინტერესებს. ერთი მხრივ, ობიექტური პირის მიერ პროცესის ზედამხედველობა მოწმისათვის ქმნის დაცულობის განცდას, რაც ნაკლებად სტრესულს ხდის დაკითხვის პროცესს. ამავე დროს, კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემის ვალდებულებას მოწმეს განუმარტავს არა პროკურორი ან/და მისი ადვოკატი (რომლის შეცდომა არ აზღვევს მოწმეს პასუხისმგებლობისაგან), არამედ ობიექტური და კვალიფიციური პირი, მაგისტრატი მოსამართლე. შესაბამისად, ამ პროცესში მოწმისთვის მარტივია განსაზღვროს, რომელ კითხვებს უნდა უპასუხოს და რომელზე არ გააჩნია მას პასუხის გაცემის ვალდებულება.



49. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით, 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოწმისათვის ადგენს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან შედარებით უკეთეს სამართლებრივ რეჟიმს. შესაბამისად სადავო ნორმა ახდენს იმ პირების დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომლებიც იკითხებიან სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323² და 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიების ფარგლებში.

4.2. შესადარებელ პირთა არსებითად თანასწორობა

50. გარდა იმისა, რომ სახეზეა მოწმეთა გარკვეული კატეგორიის მიმართ დიფერენცირებული მოპყრობა, აუცილებელია შეფასდეს, თუ რამდენად წარმოადგენენ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზნებისათვის შესადარებელი ჯგუფები თანასწორ სუბიექტებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით.

51. განსახილველ შემთხვევაში შესადარებელ კატეგორიას წარმოადგენენ, ერთი მხრივ, ის პირები, რომლებსაც მოწმის სტატუსი ენიჭებათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებულ დანაშაულებთან მიმდინარე გამოძიების ფარგლებში და, შესაბამისად, იკითხებიან 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და, მეორე მხრივ, ის პირები, რომლებსაც მოწმის სტატუსი ენიჭებათ ყველა სხვა დანაშაულთან მიმართებით და მათი დაკითხვა ხდება 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსის შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნა, შესადარებელ პირებს შორის დიფერენცირება გამოიხატება იძულებით დაკითხვის პროცესის სხვადასხვა უფლებრივ რეჟიმში წარმართვაში. ამდენად, უნდა დადგინდეს ჩვენების იძულებით მიცემის თვალსაზრისით, რამდენად ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან პირები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323² და 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით და სხვა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მქონე პირები.

52. როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენების მიცემის იძულება წარმოადგენს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე პირის ნებაზე ზემოქმედების ფორმას. ამავე დროს, ამ პროცესში მოწმეზე ზემოქმედების ხარისხს განაპირობებს არა თავად დანაშაულის ბუნება, არამედ მისი ემოციური დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხზე საგამოძიებო ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის პირის კავშირით დანაშაულში ექვმიტანილი პირების მიმართ, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი კრძალავს პირის იძულებას, ჩვენება მისცეს თავისი ან კანონით განსაზღვრულ ახლობელთა წრის წინააღმდეგ. ასევე შეიძლება, პირის განწყობა ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით განპირობებული იყოს სხვა გარემოებებით. თუმცა, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის თვალსაზრისით, პირის მდგომარეობაზე გავლენას არ ახდენს ის, თუ რომელი დანაშაულის შესახებ ფლობს ინფორმაციას.

53. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიფერენცირებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს გააჩნიათ იძულებითი ჩვენების მიცემისგან თავშეკავების და დაკითხვის პროცესში უფლებების დაცვის იდენტური სამართლებრივი ინტერესი. მათი ამგვარი ინტერესი არსებობს იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რომელ დანაშაულთან მიმართებით ხდება მათი დაკითხვა ან რომელი სამართლებრივი აქტით წარმოებს დაკითხვის პროცესი. მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება რაიმე გარემოება, რომელიც დიფერენცირებულ პირთა არსებითად თანასწორობად განხილვას გამოიწვევდა. შესაბამისად, სადავო ნორმა ადგენს დიფერენცირებას არსებითად თანასწორ პირებს შორის და სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვა.

4.3. დიფერენცირების გამართლება

54. კონსტიტუციური დავის გადაწყვეტის მოცემულ ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს, თუ რომელი ტესტის გამოყენებით უნდა შეფასდეს შესადარებელ ჯგუფებს შორის არსებული დიფერენცირება. როგორც უკვე აღინიშნა, მოწმეთა განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება ხდება იმის მიხედვით, თუ რომელი დანაშაულის გამოძიების ფარგლებში ხდება პირისათვის მოწმის სტატუსის მინიჭება, რაც სახელდებით არაა მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში, შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს კლასიკურ ნიშანს და არ არსებობს დიფერენცირების მკაცრი ტესტის გამოყენების პირველი წინაპირობა.

55. იმ შემთხვევაში, თუ არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირება არ ეფუძნება კლასიკურ ნიშანს, დიფერენცირების შეფასების მკაცრი ტესტის გამოყენება დამოკიდებულია დიფერენცირების ინტენსივობის ხარისხზე. განსახილველ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, თუ რამდენად იმყოფებიან შესადარებელი პირები მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში. მოცემულ შემთხვევაში საგამოძიებო ეტაპზე მოწმეთა



კონკრეტული კატეგორიის დაკითხვა ხდება საგამომიებო ორგანოში გამომიებლის/პროკურორის გამოძახებით და მათთვის სავალდებულოა გამოცხადება და ჩვენების მიცემა. ამისაგან განსხვავებით, ყველა დანარჩენი პირი საგამომიებო ეტაპზე ნებაყოფლობით თანამშრომლობს საგამომიებო ორგანოსთან, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში იგი სავალდებულოდ შეიძლება დაიკითხოს სასამართლოში მაგისტრატის მოსამართლის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ერთ შემთხვევაში პირს გამომიებლის ან პროკურორის გამოძახებისთანავე ენიჭება მოწმის სტატუსი და ეკისრება შესაბამისი ვალდებულებები, ხოლო მეორე შემთხვევაში მისი დაკითხვა ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე კატეგორიის მოწმეებს გააჩნიათ მსგავსი ვალდებულებები, მაგალითად, გამოცხადდნენ საგამომიებო ორგანოში ან სასამართლოში და უპასუხონ დასმულ შეკითხვებს (ორივე შემთხვევაში, მოწმეს გააჩნია ვალდებულება, რომ გამოცხადდეს გამოძახების შემთხვევაში და მისცეს ჩვენება). ორივე შემთხვევაში მოწმეებს ანალოგიურად აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობის შესახებ. ასევე მოწმეებს გააჩნიათ ანალოგიური უფლებები, გაიგონ, თუ რა საქმესთან დაკავშირებით არიან მოწმედ დაბარებული, განემარტოთ მათი უფლებები და ვალდებულებები და ისარგებლონ დამცველის დახმარებით. გარდა აღნიშნულისა, გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმეთა ორივე კატეგორია შეიძლება მიიყვანონ იძულებით, ამასთანავე მოწმეთა მიერ ცრუ ინფორმაციის ან ჩვენების მიცემა ორივე შემთხვევაში ანალოგიურად ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის წინაშე დაკითხვა წარმოადგენს მოწმის უფლებების დაცვისათვის უფრო ხელსაყრელ გარემოს, აღნიშნული არ განაპირობებს მოწმის დაკითხვის პროცესში უფლებრივ რეჟიმებს შორის იმგვარ განსხვავებად, რომელიც მიუთითებდა დიფერენცირების ინტენსიურობაზე.

56. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაძარებელ პირებს შორის არსებული დიფერენცირება არ არის ინტენსიური ხასიათის და მისი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობის შეფასება უნდა მოხდეს რაციონალური დიფერენცირების ტესტის გამოყენებით, რომლის ფარგლებშიც აუცილებელია, გამოიკვეთოს დიფერენცირების ღირებული მიზანი და გონივრული დასაბუთება.

57. მოპასუხე მხარემ მოწმეთა შორის არსებული დიფერენცირების, ისევე როგორც ბრალდებულთა მიმართ არსებული განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობის, მიზნად დაასახელა გარდამავალ პერიოდში საგამომიებო ორგანოს საქმიანობის და მართლმსაჯულების აღსრულების შეფერხების რისკის თავიდან აცილება. საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე შეაფასა დასახელებული მიზნებისა და ბრალდებულთა შორის არსებული დიფერენცირების კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობის საკითხი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 33-38 აბზაცები). განსახილველ შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებას შესაძლოა გარკვეული გავლენა ჰქონდეს საგამომიებო ორგანოს საქმიანობის ეფექტურობაზე და ამ უკანასკნელს სჭირდებოდეს გონივრული დრო ახალ საპროცესო წესებთან ადაპტაციისათვის. მსგავსი რეგულაცია ემსახურება მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით ახალი საპროცესო რეალობის ჰარმონიულად დანერგვას, მართლმსაჯულების აღსრულების შეფერხების და გამოძიების წარმოების ხელშეშლის რისკების მაქსიმალურ პრევენციას. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სადავო რეგულაცია წარმოადგენს დროებით ღონისძიებას და გასაჩივრებულ ნორმაში განხორციელებული ცვლილებები მიუთითებს კანონმდებლის ნებაზე, გარკვეული პერიოდის შემდეგ სრულად მოხდეს მოწმეთა დაკითხვის ახალ წესზე გადასვლა და აღმოიფხვრას ნორმიდან მომდინარე დიფერენცირება.

58. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოწმეთა შორის არსებულ დიფერენცირებულ მოპყრობას გააჩნია ღირებული მიზანი და იგი ლოგიკურ კავშირშია დასახელებულ მიზნებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებისას მოწმეთა დაკითხვის 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გავრცელება და, შედეგად, მოწმეთა დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენება არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, №1235 კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. №1234 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით

59. მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმები არღვევს სისხლის სამართლის პროცესში მოქმედ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს. მათი არგუმენტაციით, მხოლოდ ბრალდების მხარეს გააჩნია მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლებამოსილება, დაცვის მხარეს კი არ აქვს რაიმე ტიპის პროცესუალური გარანტია, რომლის გამოყენებითაც შეიძლება საგამომიებო ეტაპზე იმ პირის ჩვენების მიღებას, რომელსაც არ სურს ნებაყოფლობით ითანამშრომლოს მასთან. ამავ დროს, დაცვის მხარე მოკლებულია



შესაძლებლობას, დაესწროს საგამოძიებო ორგანოში მოწმის დაკითხვის პროცესს და მოახდინოს მისი ჯვარედინი დაკითხვა.

60. მოსარჩელები დამატებით მიუთითებენ, რომ სადავო რეგულაცია წარმოადგენდა ინკვიზიციური პროცესის შემადგენელ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც ბრალდების მხარის ამ უფლებამოსილების დაბალანსება ხდებოდა მოსამართლის აქტიური ჩართულობის წყალობით. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში მოსამართლე რიგ შემთხვევებში დაცვის მხარეს ეხმარებოდა მტკიცებულებათა გამოთხოვასა და მოპოვებაში. 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოსამართლე, მისი შეზღუდული ფუნქციებიდან გამომდინარე, ვერ აბალანსებს ბრალდების მხარისათვის მინიჭებულ დასახელებულ უფლებამოსილებას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმები არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებს.

61. მოსარჩელე მხარის არგუმენტაციიდან იკვეთება, რომ მათთვის პრობლემურია ის ფაქტი, რომ დაცვის მხარე არ ესწრება მოწმის საგამოძიებო ეტაპზე დაკითხვის პროცესს და მოკლებულია შესაძლებლობას, კითხვები დაუსვას მას და საგამოძიებო ეტაპზე მხოლოდ გამომძიებელს/პროკურორს ენიჭებათ მოწმეთა სავალდებულოდ დაკითხვის უფლება. ხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველი საქმის ფარგლებში, პირველ რიგში, შეაფასებს, რომელი სადავო ნორმები განაპირობებს ხსენებულ სამართლებრივ შედეგებს.

5.1. სადავო ნორმების მოწესრიგების სფერო

62. №1234 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდაა გამხდარი 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია), 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის რიგი დებულებებისა და 309-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე, ამავე მუხლში მითითებულ დანაშაულებთან მიმართებით გამოძიებისას, მოწმის დაკითხვა მიმდინარეობს 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი ახდენს იმ დანაშაულთა იდენტიფიცირებას, რომელთა გამოძიების პროცესზეც ვრცელდება 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები. ხსენებული ნორმის რეგულირების სფერო შემოიფარგლება მხოლოდ იმის განსაზღვრით, თუ დროის რა პერიოდამდე და ვისზე ვრცელდება მოწმეთა დაკითხვის განსხვავებული წესი, იგი დამატებით არ განსაზღვრავს, თუ სად, როგორ ან ვის მიერ ხდება მოწმის დაკითხვა, ამგვარი პროცესუალური საკითხის მოწესრიგება კი მოცემულია 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გასაჩივრებულ დებულებებში. სწორედ აღნიშნული კოდექსის 94-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ვის მიერ ხდება მოწმის დაკითხვა, რა ვალდებულებები გააჩნია მოწმეს და რა პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მას ამ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში. ხოლო ამავე კოდექსის 309-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ დაზარალებულის დაკითხვა ტარდება მოწმის დაკითხვისათვის დადგენილი წესების შესაბამისად.

63. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის არგუმენტაცია რომელიც უკავშირდება მოწმის დაკითხვის წესის სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შეუსაბამობას, მიემართება 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმებს. სწორედ ეს ნორმები აწესრიგებენ მოწმის დაკითხვის პროცესს. ხოლო, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ხდება არა მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებული კონკრეტული პირობების დადგენა, არამედ რიგ დანაშაულთა გამოძიების პროცესზე განსხვავებული საპროცესო წესების გავრცელება. შესაბამისად, ამ ნორმის კონსტიტუციურობა წინამდებარე გადაწყვეტილებაში უკვე შეფასდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ იწვევს ჩარევას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით დაცულ უფლებაში.

64. აღნიშნულიდან გამომდინარე, №1234 კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით.

5.2. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით დაცული სფეროების გამიჯვნა



65. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გასაჩივრებელი ნორმები ბრალდებულს უზღუდავს საგამომიებო ორგანოში მოწმის დაკითხვის პროცესზე დასწრების და მისი ჯვარედინად დაკითხვის შესაძლებლობას. ამავე დროს, ბრალდების მხარისაგან განსხვავებით, დაცვის მხარეს არ აქვს საგამომიებო ეტაპზე მოწმეების გამოძახების და დაკითხვის უფლება. მხარის პოზიციით, ხსენებული შეზღუდვები არღვევს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, შესაბამისად, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებს.

66. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას, არამედ მოიცავს სასამართლო განხილვასთან დაკავშირებულ არაერთ საპროცესო გარანტიას. „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, ხოლო შინაარსობრივად - ადამიანის უფლებების სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

67. საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს სამართლიანი სასამართლოს უფლების როლი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და მათი სრულყოფილი რეალიზაციისათვის. „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

68. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი მიზნად ისახავს პირისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის უზრუნველყოფას. იქიდან გამომდინარე, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში აერთიანებს პირის მრავალ საპროცესო შესაძლებლობასა თუ გარანტიას, მისი შემადგენელი უფლებრივი კომპონენტები შესაძლოა დაცული იყოს დასახელებული მუხლის სხვადასხვა პუნქტში. სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რომელიმე უფლებრივი ასპექტით სარგებლობის შეზღუდვა შესაძლოა ერთდროულად იწვევდეს დასახელებული მუხლის სხვადასხვა პუნქტის დარღვევას და, ამასთანავე, განაპირობებდეს მთლიანად სასამართლო პროცესის უსამართლობას. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში რთულია მკაფიო ზღვრის გავლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტით დაცულ უფლებებს შორის.

69. ამავე დროს, სამართლიანი სასამართლოს უფლების კომპლექსურობიდან და მისი შემადგენელი უფლებრივი კომპონენტების სიმრავლიდან გამომდინარე, რთულია მათი ამომწურავად ჩამოთვლა კონსტიტუციის რომელიმე მუხლში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ახდენს დასახელებული უფლების ზოგად რეგლამენტაციას და თავის თავში მოიაზრებს ყველა იმ კომპონენტს, რომლებიც დაცული არაა ამავე მუხლის სხვა პუნქტებით, თუმცა სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ნაწილია. ამასთანავე, რიგ შემთხვევებში, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის ზოგიერთი პუნქტი ვიწროდ მიმართულად იცავს პირის ამა თუ იმ საპროცესო გარანტიას, შესაბამისად, მიუთითებს კონსტიტუციის ნებაზე, რომ ხსენებული უფლებრივი კომპონენტის შინაარსი და ფარგლები სწორედ აღნიშნული პუნქტიდან გამომდინარე განისაზღვროს.

70. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება მოითხოვს, რომ თითოეული უფლების დაცული სფერო შესაბამის კონსტიტუციურ დებულებებში იქნეს ამოკითხული. კონსტიტუციის განმარტების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციით დადგენილი წესრიგის დაცვა, კონსტიტუციის დებულებების გააზრება მათი მიზნებისა და ღირებულებების შესაბამისად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარაიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12). ამასთანავე, „ბუნებრივია, ერთი და იგივე სამართლებრივი ურთიერთობა შესაძლოა კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით დაცულ სფეროში მოექცეს, ისევე, როგორც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით დაცული სფეროები გარკვეულწილად ფარავდეს (მოიცავდეს) ერთმანეთს. თუმცა კონსტიტუციის განსხვავებული ნორმებით დაცული უფლებების ფარგლების ხელოვნური გაფართოება, უფლებებს შორის კონსტიტუციით გავლებული ზღვრის წაშლა, ვერც უფლების დაცვას მოემსახურება და ვერც კონსტიტუციით დადგენილ წესრიგს უზრუნველყოფს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის №1/7/561,568 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11).



71. ამგვარად, „იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ერთი უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებულია სპეციალური რეგულაცია, უფლებაში ჩარევის განსხვავებული შინაარსი და ფარგლები, ექვემდებარება, რომ ასეთ დროს ამ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობა შესაძლებელია და უნდა შეფასდეს მხოლოდ მის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმასთან მიმართებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება კონსტიტუციურობის საკითხის სწორად გადაწყვეტა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/7/454 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

72. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი იცავს ბრალდებულის უფლებას, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს. იმისათვის, რომ ბრალდებულს შეეძლოს საკუთარი პოზიციის ეფექტურად დაცვა, მოწინააღმდეგე მხარისათვის კონკურენციის გაწევა და პროცესის შედეგზე გავლენის მოხდენა, აუცილებელია, იგი უზრუნველყოფილი იყოს მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარდგენის ადეკვატური პროცესუალური შესაძლებლობებით და დაცული იყოს მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსი. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და, რიგ შემთხვევებში, გადაწყვეტ მტკიცებულებას წარმოადგენდეს. სწორედ მოწმის მიერ მიცემული ჩვენების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია 42-ე მუხლის მე-6 პუნქტში ცალკე, სახელდებით გამოყოფს ბრალდებულის ბრალდების მხარესთან თანასწორობის უფლებას საკუთარ მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის კონტექსტში.

73. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის ტექსტის, შინაარსისა და ლოგიკის გათვალისწინებით, ცხადად იკითხება, რომ დაცვის მხარის მიერ მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის ბრალდების მხარის თანაბარ შესაძლებლობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სტანდარტები დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 და არა პირველი პუნქტით. ამავ დროს, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი არეგულირებს მხოლოდ დაცვის მხარის მოწმეების გამოძახებისა და დაკითხვის უფლებას. შესაბამისად, ბრალდების მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა არ ექვევება ხსენებული ნორმით დაცულ სფეროში. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტში დაცვის მოწმეთა დაკითხვის წესის რეგლამენტირება არ გამორიცხავს მოწმის ჯვარედინ დაკითხვასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სტანდარტების საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის ფარგლებში განსაზღვრის შესაძლებლობას.

74. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. ხსენებული კონსტიტუციური პრინციპები საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი კომპონენტებია. ზოგადად, თანასწორობის პრინციპი გულისხმობს პროცესის მხარეთა ერთნაირი საპროცესო უფლებებით აღჭურვას. ამავ დროს, ბრალდების მხარეს, დაცვის მხარესთან შედარებით, მნიშვნელოვნად აღმატებული მატერიალური და ადამიანური რესურსი გააჩნია. ასევე, განსხვავებულია მხარეთა მტკიცების ტვირთი, ბრალდების მხარე ვალდებულია, პირის დანაშაული გონივრულ ეჭვს მიღმა დაამტკიცოს, შესაბამისად, მტკიცებულებების მოპოვება უმთავრესად მისი ვალდებულებაა. ამდენად, ბრალდების და დაცვის მხარეთა შესაძლებლობები და ამოცანები ბუნებრივად განსხვავდება. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვდეს დაცვისა და ბრალდების მხარის სრულ, ტოტალურ გათანაბრებას. ამ პრინციპის რეალური შინაარსი გულისხმობს, რომ პროცესის ორივე მხარეს უნდა გააჩნდეს თანაბარი და გონივრული შესაძლებლობები, სასამართლოში წარადგინოს საკუთარი მტკიცებულებები, გავლენა იქონიოს საქმის მიმდინარეობის პროცესზე და საბოლოო შედეგზე. ხსენებული პრინციპი ზღუდავს ბრალდების მხარისათვის დაუბალანსებელი პრივილეგიის მინიჭებას და ამ ფორმით საქმის გადაწყვეტაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის ხელოვნურად გაზრდას.

75. სამართალწარმოების სამართლიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, თანასწორობის პრინციპთან ერთად, ასევე წარმოადგენს მხარეთა შეჯიბრებითობა. შეჯიბრებითობის პრინციპი მოითხოვს, რომ პროცესის მონაწილე მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა, დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას, გამოიკვლიოს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, გამოთქვას საკუთარი პოზიცია მათ შესახებ და ექვემდებარება დააყენოს მათი სანდოობა თუ ავთენტურობა. შეჯიბრებითობის პრინციპი თავის თავში მოიაზრებს კონფრონტაციის უფლებას, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში გულისხმობს, რომ დაცვის მხარეს პროცესის განმავლობაში უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიკვლიოს მის წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაკითხოს ბრალდების მხარის მოწმეები.

76. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიების ეტაპზე დაცვის მხარის მიერ ბრალდების მხარის მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობის არქონის კონსტიტუციურობა შეფასებადია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, ხოლო დაცვის მხარის მიერ გამოძიების ეტაპზე



მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტთან მიმართებით.

5.3. საგამომიებო ორგანოში მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

77. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის თანახმად, მოწმე ვალდებულია, გამოცხადდეს გამომიებელთან/ პროკურორთან და მისცეს ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა. სადავო ნორმიდან იკვეთება, რომ მოწმის დაკითხვას ახორციელებს გამომიებელი/პროკურორი და ბრალდებულს არ აქვს შესაძლებლობა, დაესწროს ამ პროცესს და ჯვარედინად დაკითხოს მოწმე. მოსარჩელები მიუთითებენ, რომ აღნიშნული რეგულაცია არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე მიმდინარე სამართალწარმოებაში გამომიების დროს მოწმის ზემოთ ხსენებული წესით დაკითხვა, რამდენად იწვევს მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობის იმ ფორმით შეზღუდვას, რომელიც არ ბალანსდება სხვა საპროცესო მექანიზმებით.

78. 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, სასამართლოს (მოსამართლეს, ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ხსენებული კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირის მიერ მხარისათვის მიწოდებული ინფორმაციის საქმის გადაწყვეტისას მოწმის ჩვენების სახით მტკიცებულებად გამოყენებისათვის საჭიროა, მოხდეს ამ პირის დაკითხვა არსებითი განხილვის სხდომაზე.

79. სისხლის სამართლის პროცესი ასევე იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია მოწმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაკითხვა და სასამართლოზე ხდება პირის გამოკითხვის, ოქმის ან წინასასამართლო სხდომაზე მაგისტრატ მოსამართლესთან მიცემული ჩვენების წაკითხვა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქმის არსებით სხდომაზე მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მისი გამოკითხვის გზით მიღებული ინფორმაცია ან გამომიების დროს ამავე კოდექსის 114-ე მუხლის შესაბამისად მიცემული ჩვენების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწმე გარდაიცვალა, საქართველოში არ იმყოფება, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამოწურულია სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა. ხსენებული მოთხოვნა ასევე ვრცელდება 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად საგამომიებო ორგანოში მოწმის დაკითხვის გზით მოპოვებულ ჩვენებაზეც.

80. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ორდინალურ შემთხვევაში, იმისათვის, რომ გამომიების სტადიაზე გამოკითხული/დაკითხული პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია გახდეს მოწმის ჩვენება, აუცილებელია ამ პირის დაკითხვა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. ამავე დროს, მოცემულ შემთხვევაში სადავოდ არ არის გამხდარი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი საგამონაკლისო წესი. ამდენად, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების ფარგლებში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ გამომიების დროს მოწმე იკითხება მისი არსებით სხდომაზე განმეორებით დაკითხვის პირობით.

81. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს საქმის არსებითი განხილვის დროს მოწმის დაკითხვის წესს და მიუთითებს, რომ ბრალდების მოწმის დაკითხვას იწყებს ბრალდების მხარე, აგრძელებს დაცვის მხარე და პირიქით. ამავე დროს, ხსენებული კოდექსის 115-ე მუხლი მიუთითებს, რომ “პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამკარაა, რომ არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმის მიერ ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისას დაცვის მხარე უფლებამოსილია, ისარგებლოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობით.

82. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნაა, რომ პირის მსჯავრდებულად ცნობა არ მოხდეს იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლის გამოკვლევის შესაძლებლობაც მას სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში ერთხელაც კი არ ჰქონია. ამასთანავე, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა, მათთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა და სანდოობის ექვექვემ დაყენება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმის



არსებითი განხილვის ეტაპზე, როდესაც იმ მოსამართლის (ნაფიც მსაჯულთა) წინაშე ხდება მტკიცებულებათა წარდგენა, რომლებმაც უნდა მიიღონ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება. კონფრონტაციის უფლება, როგორც წესი, არსებით სხდომაზე რეალიზებადი უფლებაა და მის მიზანს წარმოადგენს ბრალდებულისათვის მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებებთან დაპირისპირებისა და მათი გაქარწყლების შესაძლებლობის მინიჭება.

83. სისხლის სამართლის პროცესი შედგება სხვადასხვა ეტაპებისაგან, ამასთან, განსხვავებულია თითოეული ეტაპის დანიშნულება და მიზნები. რიგ შემთხვევებში, არაა გამორიცხული, რომ დაცვის მხარეს პროცესის რომელიმე ეტაპზე შეზღუდული ჰქონდეს კონკრეტული საპროცესო ღონისძიებით სარგებლობის შესაძლებლობა, თუმცა სხვა ეტაპზე არსებობდეს შეზღუდვის დამაბალანსებელი რაიმე მექანიზმი და ამით, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულის უფლებათა ეფექტური რეალიზაცია და პროცესის სამართლიანობა.

84. მოწმის მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მიცემისას გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს (მოსამართლე, ნაფიცი მსაჯულები) აქვს მოწმეზე უშუალო დაკვირვების შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში დაცვის მხარე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები პირის წინაშე უპირისპირდება მოწმეს, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას. ამ მხრივ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის შესაძლებლობას, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ისარგებლოს მოწინააღმდეგე მხარის მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლებით, რაც საკმარისი ბერკეტია იმისათვის, რომ მან ყოველმხრივ გამოიკვლიოს ბრალდების მხარის მტკიცებულება, გამოთქვას საკუთარი პოზიცია და იდავოს ამგვარი მტკიცებულების სისწორესა და სანდოობაზე.

85. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ მოწმე შეზღუდულია საგამომიებო ეტაპზე მის მიერ მიცემული ჩვენებით და არსებითი დაკითხვის სხდომაზე მას უკვე მიცემული ჩვენების შეცვლის გამო დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოწმის ჯვარედინი დაკითხვა არსებითი განხილვის ეტაპზე წარმოადგენს უფლების დაცვის არაეფექტურ საშუალებას.

86. ხსენებულთან დაკავშირებით, უპირველს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რომელ ეტაპზეც არ უნდა განხორციელდეს მოწმის დაკითხვა, მას პირველ რიგში კითხავს ის მხარე, რომლის მოთხოვნითაც ხდება მისი გამოძახება. ჯვარედინი დაკითხვის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს მოწმე პირდაპირ უკვე დაკითხულია და მხარეს ეძლევა უკვე მიცემული ჩვენების გამოკვლევის და მისი ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობა. შესაბამისად, ჯვარედინი დაკითხვის განხორციელებისას მოწმე ბუნებრივად არის იმ საფრთხის წინაშე, რომ პირდაპირ ჩვენების შეცვლის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

87. ამდენად, ჯვარედინი დაკითხვის კონსტიტუციური უფლების ბუნებიდან გამომდინარე, იგი ადგენს დაცვის მხარის ბრალდების მოწმესთან დაპირისპირების შესაძლებლობას. თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, რა თქმა უნდა, არ იცავს მხარის უფლებას, რომ მოწმე ჯვარედინად დაკითხოს ჩვენების შეცვლის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხის გარეშე. ზოგადად, ცრუ ჩვენების გამო პასუხისმგებლობის არსებობა მნიშვნელოვნად განაპირობებს მოწმის ჩვენების სანდოობას. შესაბამისად, რა თქმა უნდა, კონსტიტუციით გარანტირებული ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა ვერ განაპირობებს სისხლის სამართლის პროცესის ამ ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტის მოდიფიკაციას.

88. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ბრალდებულის უფლებას, ერთხელ მაინც მიეცეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის და მათთან დაპირისპირების შესაძლებლობა. როგორც უკვე დადგინდა, დაცვის მხარეს შეუძლია მტკიცებულებათა გამოკვლევის ყველაზე გადამწყვეტ და კრიტიკულ ეტაპზე, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს წინაშე ისარგებლოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლებით და ამ გზით მოახდინოს მოწმის ჩვენების სრულყოფილი გამოკვლევა, წარადგინოს საკუთარი პოზიცია მის შესახებ და იდაოს მის სისწორესა და სანდოობაზე. ამავე დროს, მოსარჩელეს არ მიუთითებია სათანადო არგუმენტაცია, რომლის საფუძველზეც წარმოჩნდებოდა, თუ რატომ წარმოადგენს მოწმესთან გამოძიების ეტაპზე კონფრონტაცია ჯვარედინი დაკითხვის უფლების ეფექტურად გამოყენების აუცილებელ წინაპირობას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოქმედი კანონმდებლობა იძლევა მოწმის კონსტიტუციის 42-ე მუხლით დადგენილი სტანდარტით ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობას.

89. მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ მოწმის საგამომიებო ორგანოში დაკითხვა ზრდის მასზე უკანონო ზემოქმედების რისკებს. შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად შეიცავს კანონმდებლობა ხსენებულისაგან ბრალდებულის დაცვის სათანადო მექანიზმებს.



90. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოწმეს დაკითხვის დროს შეუძლია ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით. ასევე, ამავე კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოწმეს უფლება აქვს, განაცხადოს გამოძიების უკანონო მეთოდების შესახებ, გამომძიებლის უკანონო მოქმედება გაასაჩივროს პროკურორთან და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოწმე 1998 წლის 20 თებერვლის, ისევე როგორც 2009 წლის 9 ოქტომბრის საპროცესო კოდექსის მოქმედების პირობებში, აღჭურვილია რიგი უფლებამოსილებებით, რომელთა გამოყენებითაც შეუძლია თავი დაიცვას უკანონო ზემოქმედებისაგან. მხოლოდ ის ფაქტი, თუ რომელი საპროცესო კოდექსის მოქმედება გავრცელდება მოწმის დაკითხვის პროცესზე, ვერ გამორიცხავს ამა თუ იმ ფორმით მოწმეზე უკანონო ზემოქმედების განხორციელების რისკს. აღნიშნული ქმედების პრევენციისათვის არსებობს სხვადასხვა პროცესუალური ინსტრუმენტები, მაგალითად, ადვოკატის დაშვება დაკითხვის პროცესზე, უკანონო ზემოქმედების ფაქტის დასჯა და სხვა. ამ კუთხით, მოწმე, ერთი მხრივ, სარგებლობს შესაბამისი საპროცესო უფლებებით, რათა მასზე არ განხორციელდეს რაიმე ფორმის უკანონო ზეწოლა, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ამგვარი ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს. გარდა ამისა, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის შესაბამისად, დაცვის მხარეს ასევე გააჩნია უფლებამოსილება, სასამართლოში მოითხოვოს უკანონო ზემოქმედების შედეგად მიღებული ჩვენების დაუშვებლად ცნობა და დაცული იყოს მოწმეზე განხორციელებული ზეწოლის მასზე ნეგატიურად გავრცელების საფრთხისაგან. აღნიშნული საპროცესო გარანტია თანაბრად ვრცელდება ნებისმიერ ბრალდებულზე, მიუხედავად იმისა თუ რომელი დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი მათ.

91. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, №1234 კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სადავო ნორმების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

5.4.გამომძიების სტადიაზე დაცვის მხარის მიერ მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტთან მიმართებით

92. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის თანახმად, მოწმე ვალდებულია, გამოცხადდეს გამომძიებლის/პროკურორის გამოძახებით და მისცეს ჩვენება, აღნიშნული ვალდებულების დარღვევისას კი მოწმეს ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა. ხსენებული დანაწესიდან გამომდინარე, საგამომძიებო ეტაპზე მოწმის სავალდებულოდ დაკითხვა შეუძლია მხოლოდ გამომძიებელს/პროკურორს, დაცვის მხარე კი მოკლებულია შესაძლებლობას, რაიმე ფორმით დაკითხოს ის პირი, რომელსაც მასთან თანამშრომლობა ნებაყოფლობით არ სურს. საგამომძიებო ეტაპზე მხარეთა მიერ მტკიცებულებების შეკრება წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას იმისათვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი პოზიციების ჩამოყალიბება და დაცვა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე.

93. 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი ვრცელდება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამომძიების დროს მოწმის დაკითხვაზე. შესაბამისად, ხსენებულ დანაშაულში ბრალდებული პირები გამომძიების ეტაპის დასრულების შემდეგ, საქმის არსებითი განხილვისას, სრულად სარგებლობენ 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი უფლებებით.

94. ხსენებული კოდექსის ფარგლებში დაცვის მხარეს შესაძლებლობა აქვს, არსებითი განხილვის სხდომაზე დააყენოს შუამდგომლობა ამა თუ იმ პირის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მოწმე ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით, ხოლო 240-ე მუხლის თანახმად, არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას ეკისრება ფულადი ჯარიმა. ამასთან, მხარე უფლებამოსილია, დააყენოს შუამდგომლობა გამოძახებული პირის იძულებით მიყვანის თაობაზე.

95. შესაბამისად, არსებული რეგულირების ფარგლებში სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში ბრალდებული პირი საგამომძიებო ეტაპზე მოკლებულია მოწმის იძულებით დაკითხვის შესაძლებლობით, თუმცა ამ უფლებით უზრუნველყოფილია საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, ხომ არ წარმოადგენს ხსენებული უფლებამოსილების მინიჭება საგამომძიებო ეტაპზე მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის შეზღუდვის რაიმე ფორმით დაბალანსების მექანიზმს, რომელიც ბრალდებულს აძლევს შესაძლებლობას, ეფექტურად მოახდინოს საკუთარი უფლებების რეალიზაცია.

96. საქმის არსებითი განხილვის ეტაპი უმეტესად ემსახურება მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევას, მათი პოზიციების მოსმენას და ფაქტობრივი გარემოებების განხილვა/შეფასებას. აღნიშნულ



ეტაპზე მხარეები ცდილობენ, სასამართლოს წარუდგინონ მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც გაამყარებს მათ არგუმენტაციას. ამ მტკიცებულებების მხარეთა მიერ მოპოვება და სასამართლოში წარდგენის მიზნით მათი წინასწარი გამოკვლევა ხდება გამოძიების ეტაპზე. ამ ეტაპზე მხარეებისათვის მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო შესაძლებლობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისხლის სამართლის პროცესის შემდგომ სტადიებზე მხარეთა მიერ საკუთარი პოზიციის დაცვის შესაძლებლობაზე.

97. ზოგადად, რთულია წინასწარ განისაზღვროს, თუ რა ინფორმაციას მიაწოდებს მოწმე სასამართლოს. აღნიშნული კიდეც უფრო რთულდება ისეთ პირობებში, როდესაც მხარეს არ მისცემია შესაძლებლობა, წინარე ეტაპებზე ჰქონოდა დასაკითხ პირთან კომუნიკაცია. ამ პირობებში, დაცვის მხარეს არსებით სხდომაზე მოწმის იძულებით დაბარებით, ფაქტობრივად უწევს გამოუკვლეველი მტკიცებულების წარდგენა ისე, რომ იგი წინასწარ ვერ განსაზღვრავს, თუ რა შედეგის მომტანი შეიძლება იყოს მისთვის მოწმის ჩვენება.

98. სისხლის სამართლის პროცესის მიზანი საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაა და ამ პროცესში დაცული ვერ იქნება ვერც ერთი მხარის ინტერესი, ხელოვნურად შეაფერხოს სასამართლო განხილვისას მისი პოზიციის საწინააღმდეგო მოწმის დაკითხვა. თუმცა, აღნიშნულისაგან განსხვავებით, მხარის მიერ წარდგენილი მოწმის მიერ ამავე მხარის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემამ, შეიძლება მომეტებულად მიანიშნოს მხარის პოზიციის სისუსტეზე. ასეთ პირობებში მოწმის ჩვენებას შესაძლოა შექმნას არასწორი განცდა, რომ მას იმაზე მეტი ღირებულება გააჩნია, ვიდრე ექნებოდა ხსენებული მოწმის მეორე მხარის მიერ გამოძახების შემთხვევაში. ამდენად, პროცესის მხარეებს გააჩნიათ ლეგიტიმური ინტერესი, მხოლოდ ის მოწმეები წარადგინონ სასამართლოში, რომლებიც მის სასარგებლო ჩვენებას აძლევენ.

99. მოწმის წინასწარი დაკითხვა სისხლის სამართლის პროცესის მხარეს საშუალებას აძლევს, განსაზღვროს, რამდენად არის მზად საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად. რიგ შემთხვევებში, მოწმის მიერ მიცემულმა ჩვენებამ შესაძლოა უდიდესი გავლენა იქონიოს მხარის პოზიციის დასაბუთებაზე. იგი შეიძლება პირდაპირ მიანიშნებდეს პირის ბრალეულობაზე ან/და უდანაშაულობაზე. ამდენად, ხსენებული ინფორმაციის წინასწარ ცოდნა საშუალებას აძლევს პროცესის მხარეს, შეაფასოს, რამდენად საკმარისია მისი მტკიცებულებები პოზიციის დასასაბუთებლად. ხსენებულიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში შეიძლება გამოიკვეთოს დამატებითი გამოძიების ჩატარების საჭიროება. წინასწარი დაკითხვისას შესაძლოა თავად მოწმემაც მიუთითოს ისეთ გარემოებაზე, რომელიც სხვა, ახალი მტკიცებულებების მოპოვებას გააადვილებს.

100. ამავე დროს, დროის გასვლამ შესაძლებელია, გავლენა იქონიოს მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისრულეზე. გარკვეულ შემთხვევაში ადამიანებს უჭირთ წარსულში მომხდარი ფაქტების სრულყოფილად გახსენება. შესაბამისად, მოწმის დროულად დაკითხვა უფრო ეფექტურს ხდის მისგან ინფორმაციის მიღებას.

101. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ბრალდების მხარეს შესაძლებლობას აძლევს, უკეთ მოემზადოს არსებითი სხდომისათვის, განსაზღვროს მის ხელთ არსებული მტკიცებულებების რეალური ღირებულება და ჰქონდეს სრულყოფილი სურათი საკუთარი პოზიციის სიმყარის შესახებ. ამავე დროს, მოწმის წინასწარი დაკითხვა მნიშვნელოვნად იცავს ბრალდების მხარეს საქმის არსებითი განხილვის დროს მოწმის ჩვენებიდან გამომდინარე მოულოდნელობებისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ბრალდების მხარეს აძლევს საშუალებას, უკეთ დაგეგმოს ბრალდების სტრატეგია, რაც მას მნიშვნელოვან საპროცესო უპირატესობას ანიჭებს დაცვის მხარესთან შედარებით. ამავე დროს, ხსენებული უპირატესობა გამოიხატება არსებითი განხილვის სხდომისათვის უკეთ მომზადების შესაძლებლობის მინიჭებაში. შესაბამისად, მას ვერ დააბალანსებს მოწმის არსებითი განხილვის დროს დაკითხვის შესაძლებლობა ან/და არსებითი განხილვის ეტაპზე არსებული სხვა მექანიზმი.

102. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სადავო ნორმით ხდება ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით დაცულ სფეროში და ბრალდებული იმყოფება არათანასწორ სამართლებრივ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით.

5.4.1. უფლების შეზღუდვის გამართლება

103. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპის როლი და დატვირთვა უმნიშვნელოვანესია, იგი არ არის აბსოლუტური ხასიათის. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, შეზღუდვის კონსტიტუციურობა ფასდება თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად. ხსენებული პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარე, „უფლების მზღლდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქისტი



5.4.1.1. ლეგიტიმური მიზანი

104. როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხე მხარემ სადავო რეგულირების ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა გარდამავალ პერიოდში საგამოძიებო ორგანოს საქმიანობის ან მართლმსაჯულების აღსრულების შეფერხების რისკის თავიდან აცილება და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული დანაშაულების ეფექტურად გამოძიების უზრუნველყოფა. როგორც უკვე აღინიშნა, გამოძიების ეფექტურად განხორციელების შეფერხების თავიდან აცილება მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დადგინა, რომ დაცვის მხარისათვის გამოძიების დროს მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის მინიჭება არ აზრკოლებს გამოძიების პროცესის ეფექტურად წარმართვას. შესაბამისად, არ არსებობს ლოგიკური კავშირი ხსენებულ შეზღუდვასა და გარდამავალ ეტაპზე გამოძიების ეფექტურად წარმართვის შეფერხების პრევენციას შორის (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 39-43 აბზაცები).

105. რა თქმა უნდა, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია ის საპროცესო სირთულეები, რომლებიც უკავშირდება დაცვის მხარის მიერ მოწმის იძულებით დაკითხვას. კანონის საფუძველზე პირის მიერ ამა თუ იმ ქმედების განხორციელების იძულება სახელმწიფოს ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს. შესაბამისად, დაცვის მხარისათვის მოწმის იძულებით დაკითხვის შესაძლებლობის მინიჭებასთან ერთად, ასევე შესაძლოა ბუნებრივად აუცილებელი იყოს ამ პროცესში სახელმწიფოს წარმომადგენელთა რაიმე ფორმით ჩართვა.

106. როგორც უკვე აღინიშნა, მოწმეს იძულებით დაკითხვის პროცესის სათანადოდ წარმართვის ლეგიტიმური ინტერესი გააჩნია. ამ პროცესში უდიდესია მოწმის უფლებების სათანადოდ დაცვის, დაცვის მხარის მიერ ჩვენების მიღების და მოწმის ინტერესების სწორად დაბალანსების მნიშვნელობა. ამდენად, დაცვისათვის ხსენებული უფლების მინიჭებასთან ერთად აუცილებელია, არსებობდეს მექანიზმი რომლის ფარგლებშიც ზედამხედველობა გაეწევა მოწმის უფლებების დაცვას, მათ შორის, შეფასდება როდის და რა კითხვებზე გაცემის ვალდებულება ექნება მოწმეს. ამდენად, სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური უფლება, დაცვის მხარის მიერ მოწმის დაკითხვა დაუშვას მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

107. ამ პირობებში მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებული დაცვის მხარის შუამდგომლობების განხილვა, ისევე როგორც მოწმის დაკითხვის პროცესის ზედამხედველობა სასამართლოსაგან მოითხოვს ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს და შესაბამისად, ზრდის მის ზოგად დატვირთვას. ამდენად, შესაძლოა, არსებობდეს კავშირი დაცვის მხარისათვის მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის მხოლოდ არსებითი განხილვის სხდომაზე უზრუნველყოფასა და სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის მიზნებს შორის.

108. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პროცესის ეკონომიურობა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვის თავიდან აცილება უმნიშვნელოვანესია მართლმსაჯულების ხარისხის უზრუნველყოფისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-69). აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვა ნამდვილად წარმოადგენს ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს, რომლის მისაღწევად დასაშვებია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტის შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით.

5.4.1.2. გამოსადეგობა და აუცილებლობა

109. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, იმისთვის, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისად ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გამოსადეგობის და აუცილებლობის კრიტერიუმებს. კერძოდ, ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას „საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48). იმავდროულად, გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებად მზღუდველ) საშუალებას. უფრო კონკრეტულად, „საშუალების აუცილებლობას ობიექტური გარემოებები იწვევს და მას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. საშუალებისადმი ასეთი მიდგომა გამორიცხავს შეზღუდვის ხელოვნურობას. აუცილებლობით გამოწვეული შეზღუდვა აუცილებელი საშუალების გამოყენებით გამართლდება. მხოლოდ ასეთი შეზღუდვა შეიძლება პასუხობდეს პრაქტიკული გონიერების მოთხოვნებს და სუბიექტის მზაობას,



უფლების შეზღუდვა მიიჩნის, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-30).

110. დაცვის მხარის მოთხოვნით მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის გამორიცხვა, ცხადია, ამცირებს სასამართლოს დატვირთვას. იმავდროულად, არ იკვეთება უფლების ნაკლებად მზლუდავი რომელიმე ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც იმავე ეფექტურობით უზრუნველყოფდა სასამართლოს განტვირთვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიჩნევს, რომ სადავო რეგულირება აკმაყოფილებს გამოსადეგობისა და აუცილებლობის მოთხოვნებს.

5.4.1.3. პროპორციულობა ვიწრო გაგებით

111. ვინაიდან სადავო ნორმა შეესაბამება გამოსადეგობისა და აუცილებლობის მოთხოვნებს, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს შეზღუდვის პროპორციულობა ვიწრო გაგებით. თანაზომიერების ტესტის ხსენებული კომპონენტი მოითხოვს, რომ „უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43). განსახილველ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება დაცვის მხარის უფლება, ბრალდების მხარეს თანაზომად ჰქონდეს საქმის არსებითად განხილვამდე მოწმის დაკითხვის უფლება და სასამართლოს სისტემის გადატვირთვისგან დაცვის ლეგიტიმური ინტერესი. დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით დაცული უფლების მნიშვნელობის, სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის სიმძიმის ანალიზს და მის უპირისპირებას სასამართლო გადატვირთვის ინტერესებთან.

112. როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოს არსებით სხდომამდე მოწმის დაკითხვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბრალდებულის მიერ საქმის არსებითი განხილვისთვის მომზადებაზე და წარმოადგენს დაცვის სათანადოდ განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას. შესაბამისად, ბრალდების მხარისათვის სადავო ნორმით მინიჭებული უპირატესობა მხარეთა საპროცესო შესაძლებლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან დისბალანსს იწვევს. მხარეთა თანასწორობისა და პროცესის სამართლიანობის დაცვა უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ სიკეთეს წარმოადგენს.

113. სადავო ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით დაცულ უფლებას უზღუდავს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე–323², 325-ე–329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებულებს. სისხლის სამართლის კოდექსის ხსენებული მუხლები მძიმე დანაშაულს წარმოადგენს და მათ ჩადენაში ბრალდებული პირები არიან მძიმე სასჯელის საფრთხის წინაშე. დანაშაულის სიმძიმე, რომლის ჩადენაშიც არის პირი ბრალდებული მხოლოდ და მხოლოდ აძლიერებს ხსენებული კონსტიტუციური ინტერესების დაცვის საჭიროებას. ამდენად, მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პირებს სათანადო საპროცესო გარანტიებით სარგებლობის აღმატებული კონსტიტუციური ინტერესი გააჩნიათ. შესაბამისად, სადავო ნორმა ზღუდავს უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ უფლებას იმ ფორმით, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბრალდებულის მიერ თავის დაცვაზე.

114. სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვა პირდაპირ კავშირშია მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებასთან. ხსენებული ლეგიტიმური მიზნის დაცვაც ემსახურება უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლების, სამართლიანი სასამართლოთი სარგებლობისათვის სათანადო მექანიზმების შექმნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევებში დასაბუთდეს დაცვის მიერ მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის ხსენებული ინტერესით შეზღუდვა, თუ წარმოჩინდება, რომ უფლების რეალიზება ქმნის სასამართლოს იმდენად გადატვირთვის საფრთხეს, რომელიც არაეფექტურს ხდის მის საქმიანობას.

115. სადავო ნორმები შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე–323², 325-ე–329-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების ფარგლებში მოწმის დაკითხვის წესს. როგორც უკვე აღინიშნა, ხსენებული დანაშაული არ ხდება იმდენად დიდი რაოდენობით, რომ მის ფარგლებში დაცვის მხარისათვის მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის მინიჭებამ სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი გადატვირთვა და მისი საქმიანობის შეფერხება გამოიწვიოს. შესაბამისად, სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის საფუძვლით სახელმწიფო ვერ გაამართლებს დაცვის მხარისათვის მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის მხოლოდ ამ დანაშაულთა გამოძიების ფარგლებში არსებულ შეზღუდვას.

116. ამავე დროს, შესაძლებელია სხვადასხვა დანაშაულის გამოძიების საკითხებს სახელმწიფო სხვადასხვა



აქტივით არეგულირებდეს, თუმცა ყველა მათგანთან მიმართებით დაცვის მხარის მიერ მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის გამორიცხვისას საერთო მიზნით მოქმედებდეს. ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მოწმის დაკითხვის ზოგად შესაძლებლობას არ იცნობს არც 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (გარდა ამავე კოდექსის 114-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა). ამდენად, აშკარაა, რომ სახელმწიფო სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვას ცდილობს ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე და სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობას სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სიმცირე თავისთავად ვერ განაპირობებს.

117. სისხლის სამართლის საქმეების სიმრავლის გათვალისწინებით, მოწმის დაკითხვის შუამდგომლობების განხილვამ და მოწმეთა დაკითხვამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს სასამართლოს დატვირთვა და შეზღუდვების დაწესების საჭიროებაც გაჩინოს. ასევე აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარის მოწმეების არსებით სხდომაზე დაკითხვის შუამდგომლობების განხილვა არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებშიც უწყვეს საერთო სასამართლოებს. ამდენად, სასამართლო არსებული რეგულირების ფარგლებშიც აფასებს, რამდენად არსებობს დაცვის მიერ ამა თუ იმ პირის მოწმედ დაკითხვის საფუძველი. ამ თვალსაზრისით მოწმის არსებითი განხილვის სხდომამდე დაკითხვის შემთხვევაში მხოლოდ დროში გადაინაცვლებს ხსენებული შუამდგომლობის განხილვის საკითხი. ამავე დროს უდავოა, რომ მოწმის სასამართლოს არსებით სხდომამდე დაკითხვა არსებითად შეცვლის სასამართლოს დატვირთვას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გამორიცხავს სასამართლოს საქმიანობის შეფერხების შესაძლებლობას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ხსენებული საფრთხეები არ არის აშკარად ხელშესახები. ამავე დროს, არც მოპასუხე მხარეს წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულებები იმის წარმოსაჩენად, რომ გამოძიების ეტაპზე დაცვის მხარისთვის მოწმის სავალდებულო დაკითხვის უფლების მინიჭებით, სასამართლოს საქმიანობა გადატვირთვის გამო შეფერხდება.

118. ასევე აღსანიშნავია, რომ იმ პირობებშიც კი, თუ დასაბუთდება, რომ დაცვის მხარის ზემოთ ხსენებული უფლების ყველა საქმეზე მინიჭება სასამართლოს საქმიანობის გადატვირთვის გამო შეფერხდებას იწვევს, კანონმდებელმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არ იქნება შესაძლებელი დაცვის მხარისათვის ამ უფლების იმ შემთხვევაში მინიჭება როდესაც ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაგალითად, როდესაც ხდება პირის ბრალდება მძიმე დანაშაულში, მოწმის ჩვენების საქმის არსებით განხილვაზე მიღება მნიშვნელოვნად გართულებდა და ა.შ.

119. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საგამოძიებო სტადიაზე მოწმის სავალდებულო დაკითხვის უფლების სადავო ნორმით დადგენილი ფორმით შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტს. ხსენებულის გათვალისწინებით, უნდა დაკმაყოფილდეს №1234 კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, ... გამომძიებლის; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს“, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების და მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამომძიებელი მოწმისათვის გამოუცხადებლობის გამო ფულადი სახდელის დაკისრების შესაძლებლობას და 309-ე მუხლის პირველი ნაწილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტთან მიმართებით.

6. გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება

120. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების: „მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, ... გამომძიებლის; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს“, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების და მე-2 წინადადების იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამომძიებელი მოწმისათვის გამოუცხადებლობის გამო ფულადი სახდელის დაკისრების შესაძლებლობას და 309-ე მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა განპირობებულია მხარეთათვის განსხვავებული უფლებრივი რეჟიმის დადგენით. ამდენად, სადავო ნორმებით განსაზღვრული შეზღუდვა სრულად აღმოიფხვრება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების და დაცვის მხარეებს მიეცემათ გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის თანაბარი შესაძლებლობა. ხსენებული შეიძლება განხორციელდეს როგორც ბრალდების მხარისათვის მოწმის იძულებით დაკითხვის შესაძლებლობის გაუქმებით, ასევე მსგავსი შესაძლებლობით დაცვის მხარის აღჭურვილად.

121. საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტია ის, თუ უთანასწორობის აღმოფხვრის რომელ გზას აირჩევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს,



„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გადაავადოს დასახელებული სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება 2019 წლის 30 ივნისამდე, რათა საქართველოს პარლამენტს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხი და უზრუნველყოს სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობა.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-7, მე-8, მე-11 და მე-13 პუნქტების, 45-ე მუხლის, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ადგენს:

1. კონსტიტუციური სარჩელი №1234 („საქართველოს მოქალაქე როინ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი:

ა) საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებისას დაცვის მხარის მიერ მოწმის დაკითხვის საკითხი წესრიგდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით;

ბ) საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, ... გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს“, მე-2 ნაწილის პირველი წინადადება და მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამოძახებული მოწმისათვის გამოუცხადებლობის გამო ფულადი სახდელის დაკისრების შესაძლებლობას და 309-ე მუხლის პირველი ნაწილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტთან მიმართებით.

2. კონსტიტუციური სარჩელი №1234 („საქართველოს მოქალაქე როინ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება:

ა) საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიების დროს დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით;

ბ) საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების: „მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, ... გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს“, მე-2 ნაწილის პირველი წინადადების და მე-2 წინადადების იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამოძახებული მოწმისათვის გამოუცხადებლობის გამო ფულადი სახდელის დაკისრების შესაძლებლობას და 309-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.



3. კონსტიტუციური სარჩელი №1235 („საქართველოს მოქალაქე გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323², 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიების დროს დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

4. შეწყდეს საქმე კონსტიტუციურ სარჩელებზე №1234 და №1235 („საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თებერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 126¹, 178-ე, 179-ე, 276-ე და 378² მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით.

5. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, ... გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს“, მე-2 ნაწილის პირველი წინადადება და მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამოძახებული მოწმისათვის გამოუცხადებლობის გამო ფულადი სახდელის დაკისრების შესაძლებლობას და 309-ე მუხლის პირველი ნაწილი ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2019 წლის 30 ივნისიდან.

6. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

7. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

8. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს მთავრობას.

9. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

თეიმურაზ ტულუში

ირინე იმერლიშვილი

მანანა კობახიძე .

